საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 21 ნოემბერი, 2012 წელი.

№224 (7100)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვეთი სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბეთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ქვეყნის, ერისა და ხერის გასაგონად!

საცა კანონი და სამართალია, მიხეილ საკაშვილს პრეზიდენტობის ვადა 2013 წლის 5 იანვარს უმთავრდება, ხოლო ახალი საპრეზიდენტო არჩევნები პრეზიდენტის გადადგომიდან 45 დღეში, ანუ 2013 წლის 20 თებერვალს უნდა დაინიშნოს, ეს თარიღი კი ამჟამად მოქმედმა პრეზიდენტმა 60 დღით ადრე, ანუ 2012 წლის 21 დეკემბერს უნდა გამოაცხადოს.

ჩვენი ხალხის მთავარი მოთხოვნა სწორედ ეს არის, რასაც მოსახლეობა ქვეყანაში ხელმოწერების შეგროვებითაც ადასტურებს.

იმედია, 1 ოქტომბერს არჩეული ახალი პარლამენტი საგანგებოდ იმსჯელებს და პრეზიდენტის მომავალი არჩევნების თაობაზე ძველ და ვოლუნტარისტულ საკონსტიტუციო ჩანაწერს ხალხის კანონიერი მოთხოვნისდა შესაბამისად ჩაასწორებს!..

ოთხი 8 მოსაზრება და ოთხი კითხვა საქართველოში არჩევნებთან დაკავშირებით

ულირსები კაცები 3

უგულავა თავისი 2 თავის მტერია?!.

უკანონოდ დაკანონებული ნაციონალების ყულაბა და 9 კომუნიკაციების ეროვნული კომისიის „გადაცდომები“

უგულავას გაუმჭვირვალე ჯიბე და 11 გამჭვირვალე ბიუჯეტი თუ პირიქით...

ჯანყი თბილისის 5 სახელმწიფო უნივერსიტეტში

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დაბრუნება

პოლიტდევნილობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, სრულ უდანაშაულობას...

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკური ნიშნით დევნილად მიიჩნევს, თუმცა „ეს არ ნიშნავს, რომ ყველა იმ ბრალდებასთან დაკავშირებით, რაც მის წინაშე შეიძლება დაისვას, არის უდანაშაულო„.

— ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოსკენ დაძვრის შესახებ ჩემმა უწყებამ ღამე მაშინ შეიტყო როცა ის საზღვარს მოუახლოვდა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს თეა წულუკიანმა განუცხადა და განმარტა, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის გადაწყვეტილების შესახებ მანამდე მისთვის არაფერი იყო ცნობილი.

წულუკიანის ინფორმაციით, ოქრუაშვილი საქართველოში ბიძასთან ერთად ჩამოვიდა და როგორც ძებნილი, საზღვარზე იქნა დაკავებული.

— დაკავების შემდეგ ის შესახლებულ იქნა გლდანის №8 დაწესებულებაში. ჩემი ვარაუდით ოქრუაშვილის საქართველოში დაბრუნება ერთადერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს — არა ქვეყნის გარედან, არამედ შიგნით დაამტკიცოს მისი უდანაშაულობა, თუ ეს მართლაც ასეა, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მისი თქმით, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ სხვადასხვა პროცედურები არის დაწყებული.

— არა მხოლოდ ის სამართლებრივი პროცედურები, რაც წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით დაგვხვდა, არამედ კიდევ სხვა — საქართველოს პარლამენტი მას მიიჩნევს პოლიტიკურ დევნილად და ამ საკითხზე ვრცლად აქვს ნამსჯელი ასევე გერმანიის და საფრანგეთის სასამართლოებსაც, რომლებმაც ის თავის დროზე ლტოლვილის სტატუსით აღჭურვეს. პირადად მე ვუერთდები იმ პოზიციას, რომ ოქრუაშვილი „ნაციონალური„ ხელისუფლების მიერ იყო პოლიტიკური ნიშნით დევნილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მის ყველა იმ ბრალდებასთან დაკავშირებით, რაც მის წინაშე შეიძლება დაისვას, არის უდანაშაულო. ამ ყველაფერს სჭირდება მოკვლევა. მის წინააღმდეგ არაერთი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მათ შორის ბოლო 2011 წლის მაისის მოვლენების წინ, უკანონო ფორმირებების ორგანიზებას შეეხება, — დასძინა წულუკიანმა.

* * *

„ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტმა, რომელიც მონიტორინგის ჯგუფის წევრია, ირაკლი ოქრუაშვილი გლდანის ციხეში მოინახულა. როგორც ოქრუაშვილმა განაცხადა, იგი საქართველოში დღეს დილით, 05:00 საათზე დაბრუნდა და საზღვრის გადმოკვეთისთანავე ბიძაშვილთან ერთად დააკავეს და მასთან ერთად განათავსეს საკანში.

ამასთან, ოქრუაშვილის თქმით, მის ბიძაშვილსაც იგივე ბრალდებას უყენებენ, რასაც მას. ოქრუაშვილის განცხადებით, საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება ერთი თვის წინ ჰქონდა მიღებული და ელოდა მოვლენების ზუსტად ისე განვითარებას, როგორც განვითარდა.

— ჩემს წინააღმდეგ 6 ეპიზოდთან დაკავშირებით არის საქმე აღძრული და ზუსტად ვიცოდი, რომ როგორც კი ჩამოვიდოდი, მოხდებოდა ის, რაც მოხდა. ამ პროცედურებს შეგუებული ვიყავი. ეს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად უნდა მომხდარიყო და ვარჩიე, რომ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთ თვეში დავბრუნებულიყავი საქართველოში, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.,

მისი თქმით, პოლიტიკური პატიმრის სტატუსი და ამინისტიის პროექტი მისთვის არანაირ შეღავათს არ იძლევა.

— თუკი საპარლამენტო კომიტეტი მიიღებს იმ დადგენილებას, რასაც გეგმავს, ამის მიხედვით, მე უფლება მომეცემოდა საზღვარი გადმომეკვეთა დაუბრკოლებლად, მერე კი ისევ მედავა სასამართლოში. რომც შევიდეს ეს დადგენილება ძალაში, ჩემთვის არაფერს არ შეცვლიდა. ასე რომ, ადრე თუ გვიან ეს პროცედურები გასავლელი მქონდა და რაც მალე დავიწყებდი, მით უკეთესი იყო, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

მისი თქმით, ყველა საქმე, რაც მის წინააღმდეგ არსებობს, თავიდანვე განკუთვნილი იყო იმისთვის, რომ რაც შეიძლება მძიმე დანაშაულები დაეკისრებინათ. ოქრუაშვილის განცხადებით, ყველა ეპიზოდი თითიდან არის გამოწოვილი.

— როდესაც 2007 წელს დამაპატიმრეს, ტაქტიკა იყო, რომ მაქსიმალურად დაემძიმებინათ ჩემთვის ბრალი. 2011-ში შეცვალეს ტაქტიკა და გადატრიალების მუხლი წამიყენეს. ყველას ახსოვს, რაც ხდებოდა და მივიჩნევ, რომ ეს ყველაფერი თითიდან გამოწოვილი იყო, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

რაც შეეხება მის წინააღმდეგ ექვს ეპიზოდს, როგორც ოქრუაშვილმა განმარტა, ექვსი ეპიზოდიდან ერთი საქმის განხილვა დღეს იგეგმება. სამი საქმე შემოსავლების სამსახურში თაროზეა შემოდებული, ერთი კი სასამართლოშია ასევე თაროზე.

— ჩემს წინააღმდეგ არსებული საქმეები გაჩერებულია, მხოლოდ ერთი საქმეა, რომლის მიხედვითაც მომესაჯა 11 წელი. ვაპირებ, რომ ყველა საქმესთან დაკავშირებით აქტიურობა დავიწყო. ამასთან, 11-წლიანი სასჯელის შესახებ ვაპირებ სააპელაციო პროცედურების დაწყებას, რასაც ალბათ, რამდენიმე თვე დასჭირდება და შეგუებული ვარ რამდენიმეთვიან პატიმრობას, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

მის ინტერესებს ადვოკატები ზვიად კორძაძე, დავით კორკოტაშვილი და მამუკა ჭაბაშვილი დაიცავენ.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის თქმით, მზად არის, რომ ახალ ხელისუფლებასთან რომელიმე საქმის გამოძიების პროცესში ითანამშრომლოს.

— თუ დავინახავ რაიმე სახის მზაობას ახალი ხელისუფლების მხრიდან, რომ რომელიმე თემაზე თანამშრომლობა უნდათ, აუცილებლად დავეთანხმები. მხოლოდ ლაპარაკს და დინების წინააღმდეგ ცურვას აღარ ვაპირებ. ერთხელ ეს გავაკეთე და საკმაოდ ძვირად დამიჯდა, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

ამასთან, მან იმედი გამოთქვა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში დაკავებები და გამოძიებები, რომლებიც ამჟამად არის დაწყებული, არ შეჩერდება. თუმცა, ოქრუაშვილის თქმით, ის პირები, რომლებიც დააკავეს, მხოლოდ შემსრულებლები არიან.

ირაკლი ოქრუაშვილი არავითარ საპროცესი გარიგებაზე წასვლას არ აპირებს, — ამის შესახებ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა ზვიად კორძაძემ განაცხადა.

მისი თქმით, თავდაცვის ყოფილი მინისტრის საქართველოში ჩამოსვლით ოქრუაშვილის მიმართ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობა გაჩნდა.

— საპროცესო გარიგებაზე წასვლა რომ ყოფილიყო მიზანი და ამ გზით გათავისუფლება, ის უბრალოდ არ ჩამოვიდოდა და დაველოდებოდით იმ სამართლებრივ მექანიზმებს, რომლებიც ძველი საქმეების გადასინჯვას გულისხმობს. ირაკლიმ გადაწყვიტა, რომ მისი ფიზიკურად შემოსვლა საქართველოში აჩენდა ერთადერთ შანსს, რადგან სხვა ყველა სამართლებრივი შესაძლებლობა გაშვებული იყო ხელიდან. განაჩენი იყო დაუსწრებლად გამოტანილი და მისი ჩამოსვლათ გასაჩივრების შესაძლებლობა იყო. ირაკლი ჩამოვიდა, ჩაჯდა ციხეში და ელოდება სამართლიან სასამართლოს, — განაცხადა კორძაძემ.

* * *

ძალიან კარგი იქნება, თუ ირაკლი ოქრუაშვილი ყველაფერს მოყვება, — ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა პავლე კუბლაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, ამ ადამიანს დაუსწრებლად მისჯილი ჰქონდა შესაბამისი სასჯელი და აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ დღეს ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება.

ამასთან, მას უჭირს პროგნოზის გაკეთება, გაამართლებს თუ არა სასამართლო თავდაცვის ყოფილ მინისტრს.

— ამაზე ვერაფერს გეტყვით, არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ჯერ არავის შეუცვლია, — დასძინა კუბლაშვილმა, რომელიც არ ფიქრობს, რომ ოქრუაშვილი პოლიტიკური დევნილი იყო.

ინტერპრესნიუსი

◎ როცა იუპიტერი ბრაზობს

უგულავა თავისი თავის მტერია?!.

ანუ „არავის აკავებენ იმისათვის, რომ შემდეგ ვილაცაზე „გავიდნენ“

თბილისის მერი რამდენიმე დღის წინ მთავრობის სხდომაზე მივიდა და განაცხადა, რომ თბილისელების სოციალური დახმარების საკითხი უნდა დაეყენებინა დღის წესრიგში, თუმცა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა უგულავა მთავრობის სხდომიდან გააძევა იმ მოტივით, რომ ეს საკითხი მთავრობის სხდომის დღის წესრიგში არ იყო. მთავრობის სხდომიდან გამოსული აღშფოთებული უგულავა მთავრობას მოსახლეობის პრობლემებისადმი გულგრილობაში ადანაშაულებდა, თუმცა როგორც ჩანს თავად დედაქალაქის მერი თბილისელების სოციალური დახმარებების საკითხით ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ დაინტერესდა, რადგან როგორც ნანა ლეჟავას გადაცემა „კვირის რეპორტაჟიდან“ ირკვევა, გიგი უგულავა თავის მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად საბიუჯეტო სახსრებით, ანუ სწორედ იმ ფულით, რომელიც, წესით, თბილისელებს უნდა მოხმარებოდათ, ლას-ვეგასში გასართობადაც კი დადიოდა.

„კვირის რეპორტაჟიდან“ ირკვევა, რომ თბილისის მერიის 2012 წლის 17 აპრილის №254 განკარგულების თანახმად, ქალაქ თბილისის მერი 27 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით უნდა უნდა გამგზავრებულიყო აშშ-ის ქალაქ ლას-ვეგასში, გამოფენა „Waste Expo“-ზე დასასწრებად, რისთვისაც თბილისის მერს ავანსად 10 661.39 ლარი გადაეცა. გამოფენა ნარჩენების გადამუშავებისა და ტრანსპორტირების უახლეს ტექნოლოგიებს ეხებოდა. „კვირის რეპორტაჟის“ ინფორმაციით, უგულავასთან ერთად ლას-ვეგასში მისი მეუღლე, ლელა კილაძე, ცოლის და, მაკა კილაძე და მაკა კილაძის მეუღლე გიორგი ღონიაშვილი, ასევე გოკა გაბაშვილი და მისი მეუღლე, ირინა კლდიაშვილი და უგულავას ცოლის მეგობარი მარი გოშხეთელიანი ერთი ავიარეისით გაემგზავრნენ. გადაცემის ინფორმაციით, 2012 წლის 3-დან 8 იანვრის ჩათვლით ლას-ვეგასში უგულავას და მისი აპარატის თანაშემწის კიდევ ერთი მივლინება დაფინანსდა (15 000 ლარით) და აქ მივლინების მიზანი კიდევ უფრო ბუნდოვანი იყო, ვიდრე ნარჩენების გადამზიდავი მანქანების დათვალიერება.

ეს ის ფაქტებია, რომელთა შესახებ საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, მაგრამ კიდევ რამდენი ასეთი „მივლინებაა“ დაფინანსებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ამას, ალბათ, გამოძიება დაადგენს, რადგან ქვეყანაში მუსიერებს აზრი, რომ უახლოეს დღეებში შესაძლოა, გიგი უგულავა დააკავონ. თავად თბილისის მერი ამ ყველაფერს პოლიტიკური მოტივებით ხსნის. კომენტარი მან შოთა ხიზანიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემდეგ, სასამართლო პროცესიდან გამოსვლისას გააკეთა.

„ყველამ ცალსახად დაინახა, რა უსუსური იყო ბრალდება. თვითონ საქმე არის პირადად ივანიშვილის მიერ ინიცირებული, ის ცდილობს, ნამუსი მოიწმინდოს და საკუთარ კოლეგებს დაუმტკიცოს, რომ ის მათ არ უსმენდა. მე მის კოლეგებს მოვუწოდებ, დაგუგლონ „რასისკი კრედიტი“ და ნახავენ, რომ ეს მისი მართვის მეთოდია, ერთმანეთის მოსმენა და ჩაშვება. საქმის არსებითი განხილვა 2-3 თვეში დაიწყება და ნათელი უნდა მოეფინოს ყველაფერს, ამის წინააღმდეგი არავინ არაა. არანაირი საფუძველი არ არსებობდა ხიზანიშვილისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების, ყველამ კარგად იცის, მათ შორის ჟურნალისტებმაც, რომ არანაირ ოპერატიულ საქმიანობას ის სამინისტროში არ აწარმოებდა. ეს დაკავება პოლიტიკურ მიზანს ემსახურება, უკავშირდება ვანო მერაბიშვილს (მისი ადმინისტრაციის უფროსი იყო 7 წლის განმავლობაში) და მიკავშირდება ასევე მე, რადგან ბოლო ერთი თვის მანძილზე შოთა ხიზანიშვილი ჩემი მოადგილეა. ასე წარმატებით გაგრძელონ მუშაობა“, — განაცხადა უგულავამ.

იხ. 5 გვ.

ოქროს მოწმე - სააკაშვილის წინააღმდეგ

ირაკლი ოქრუაშვილი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ დღეს ძიებისთვის ოქროს მოწმე იქნება. ამის შესახებ ექსპერტმა სოსო ცინცაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ოქრუაშვილის საქართველოში დაბრუნება უდავოდ გახდება მნიშვნელოვანი სამართლებრივი პროცესების დაწყების მიზეზი და ეს პირველ რიგში ყოფილი მთავრობისა და უშუალოდ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

— ოქრუაშვილის ახალი ჩვენებების ძირითადი დატვირთვა სააკაშვილის წინააღმდეგ კომპრომატების გააქტიურება იქნება. ადვილად სავარაუდოა, რომ მან გააღრმავოს ჩვენებები იგივე ბადრი პატარკაციშვილის საქმესთან დაკავშირებით. მით უმეტეს, რომ ის მიხეილ სააკაშვილის მიერ პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთაზე მანამდეც საუბრობდა, — აცხადებს სოსო ცინცაძე.

ექსპერტის შეფასებით, ირაკლი ოქრუაშვილი ბევრად მნიშვნელოვანი მოწმე შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე სხვა ნებისმიერი, ვისაც წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ჩვენებები აქვს მიცემული.

ინტერპრესნიუსი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ულტიმატუმი კაცები

არც ისე იოლი ყოფილა უსისხლო რევოლუციის „გადაგორება“.

საარჩევნო ყუთების რევოლუციამ კუდი მოიქნია.

სიდიადე ამ მუხთლობის ჩვენ ვერ გავისიგრძეგანეთ.

პრეზიდენტის მიერ არჩევნების მეორე დღესვე აღიარებული (და, როგორც იტყვიან, მაღრიბიდან მაშრიყამდე მოწონებული) დამარცხება და თანამშრომლობის აღთქმა ოდენ დასავლეთის ტაშისთვის ყოფილა გამზადებული, თორემ იმას, რაც მის დაპირებას მოჰყვა, ხელიხელჩაკიდებისა და საქვეყნო საქმის ერთად კეთების სურვილი ნამდვილად არ ჰქვია.

ან, კაცმა რომ თქვას, რის საფუძველზე გვეგუმანებოდა ეს კაცი და მისი ამალა დამხმარედ და გვერდში მდგომად? გუშინ რომ ოპოზიციას მუმიებს, ჯოჯოებს, საქართველოს მტრებს უწოდებდა, ციხეები გადაავსო უდანაშაულო ხალხით და სულის კაწკაწით ელოდა 1 ოქტომბერს, რათა საბოლოოდ ჩაერეცხა ისედაც წაშლილი, სახედაკარგული ხალხი, იმ პრეზიდენტისგან რა სიკეთეს, რა კეთილშობილებას და სულიერ სიმდიდრეს ველოდით?

არც აგვიხდა. თქმით კი თქვა, დამარცხებას ვაღიარებო, მაგრამ იქვე გამოგვიცხადა, დღეიდან მე და ნაცმოძრაობა ოპოზიციაში გადავდივართო.

საფრანგეთის პრეზიდენტი მიტერანი მეორე ვადით არჩევისას „უპარლამენტოდ“ დარჩა, ანუ პარლამენტში უმრავლესობა მოწინააღმდეგეებმა მოიპოვეს. მაგრამ იმ კაცს არ გამოუცხადებია, ოპოზიციაში გადავდივარო, პრეზიდენტი და პარლამენტი წლების მანძილზე ერთად აკეთებდნენ საფრანგეთის საქმეს.

გასაგებია, არც არავინ ელოდა, რომ სააკაშვილი მიტერანის დონემდე ამაღლდებოდა, მაგრამ საკუთარ ქვეყანას თუ თავისი გაოპოზიციონერებული ნაცმოძრაობით პარტიზანულ ომს გამოუცხადებდა, ცოტა ძნელი გასასიგრძეგანებელი იყო.

მაგრამ სწორედ ასე მოხდა.

ჯერ იყო და უმალ მოიმარჯვა თავისი საპრეზიდენტო უფლებები და ბეჯითად შეუდგა გაერთიანებული შტაბის უფროსის თუ გუბერნატორ-გამგებლების დანიშვნას.

ნიუანსი: აგერ ახლახან, როცა მთავარმა პროკურატურამ შტაბის უფროსი კალანდაძე დააკავა, პრეზიდენტი იმის ოჯახს ეწვია თანაგრძნობის გამოსახატავად, შემდეგ კი შეიწყალა და უფლებებში აღადგინა. ერთი სიტყვით, იმდენი იპრეზიდენტა, სანამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას გენერლის მიმართ რადიკალური გადაწყვეტილება არ გამოატანინა, რაც კაცმა რომ თქვას, ფაქტობრივად იმისთვის თავში ჩარტყმა იყო.

არსებობს „გონივრული ეჭვი“, რომ სწორედ ნაციონალების ორგანიზებულია ეს ამდენი დევნილთა შეჭრა (51 ობიექტზე!), და სხვადასხვა უწყების მუშაკთა დაუსრულებელი გაფიცვები, რითაც ქვეყნის ქაოსში გადაჩეხვას და წაქცევას ცდილობენ.

თითში ეკლად იქცა საპყრობილეებში შექმნილი ცხელი ვითარება.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ეიფორიისა და ამ გამარჯვებაში „პატიმართა საქმის“ ხელშესახები წვლილის გამო ზოგიერთმა, როგორც ჩანს, დაიჯერა, რომ მღვრიე წყალში ხელაობა დიდხანს გაგრძელდება და ციხეს ნაღმის ფითილს არ აშორებს.

მინისტრ სოზარ სუბარს, ალბათ, მოუხდება მეტი ფხა და ნება გამოიჩინოს, რათა, ბოლოს და ბოლოს, საპყრობილემ თავისი პირდაპირი მოვალეობა შეასრულოს, თორემ ხანდახან შთაბეჭდილება გექმნება, რომ პატიმრების მშობლების, მირიადი სამართალდამცველისა და დუნდგოდ დადებულ ჟურნალისტთა ერთობლივი ქორალი კარგად მიჩქმალული დირიჟორის უხილავი ხელით იმართება, რომლის არსებობაც მათ, რა თქმა უნდა, არც იციან.

მთავარი კი ის არის, რომ პირამოკერილი, მოზუზუნე ციხეების, გაფიცული მძღოლ-მეშახტე-დოკერების, დევნილთა მიერ იერიშით აღებული ბასტილიების კვალდაკვალ წამოყელყელავებულმა ჩვენმა ძვირფასმა ახალი ფორმაციის საპარლამენტო ოპოზიციამ, რომელიც პირველ დღეებში ჭირის ოფლს იწმენდდა გაფითრებულ შუბლებზე, დღეს თანდათან აუწია ხმას და დარჩიაშვილიც კი, რომელიც თავიდან პირის ოპოზიციური გაღებისას, ერთობ დამორცხვებული გამოიყურებოდა და თითქოს ოქროს შუალედის გამოძებნას ცდილობდა, უკვე არანაკლებ კატეგორიულ ხმებს გამოსცემს უსწორმასწორო წვერით შეჯაგრული ყბებიდან, ვიდრე თუნუქის კაცი ნუგზარ წიკლაური და თვალმარჩხი გოკა გაბაშვილი. მათ გარშემო უკვე შეხმატკბილებულად მოწიკვინე ბუნების გამოცანა თეა თუთბერიძის ჯურის თანამოაზრენიც ირაზმებიან.

ბაჩო ახალაიას დაპატიმრებამ პირდაპირ თივის ბღუჯა შეუკეთა უკვამლოდ წამოპარებულ ალს.

ეს კაცი დღეს ნაკრებია ცოტნე დადიანის, ამირან დარეჯანის ძის და არსენა ოძელაშვილისა, მოკლედ დათა თუთაშხიას თანამედროვე პორტრეტია: გმირი, სიმართლისათვის მებრძოლი, უდანაშაულო მსხვერპლი. და წარმოსახვით „ემბაზში“ იკარგება „განათლულის“ – სასტიკი მწვალებლის, ცივსისხლიანი ჯალათის, დაუღალავი ინკვიზიტორის რეალური სახე.

ასე იქმნება ლეგენდები. და რაც უნდა ზედმიწევნით ზუსტად დაადგინონ გამოძიებამ და სასამართლომ ბაჩანა ახალაიას ყველა დანაშაული, იგი ვიღაც-ვიღაცებისთვის მაინც დარჩება გმირად და წამებულად. მით უფრო, რომ საპარლამენტო უმცირესობა ერთიანად უკმევს გუნდრუკს.

გუნდრუკის მკმეველთა განზოგადებული სახის – ნუგზარ წიკლაურის შემხედვარეს უმალ გინათდება გონება: ამ გაყინული ფიზიონომიისა და აზროვნების კაცისთვის მართლაც არაფერია, რომ სამხედრო მინისტრმა და გაერთიანებული შტაბის უფროსმა ჯარისკაცები სცემონ და აწამონ, იმიტომ, რომ მას, როგორც ჩანს, ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ღირსებაზე.

მეორე მსოფლიო ომის დროს წარმოუდგენელი სკანდალი მოხდა სიცილიაში. ამერიკის შეერთებული შტატების საექსპედიციო ჯარის გენერალმა ჯარისკაცს სილა გააწნა. გარტყმის ხმა დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის დუაიტ ეიზენჰაუერის ყურს მისწვდა და ჯარისკაცის ღირსების ხელმყოფი დამსახურებული გენერალი არათუ იტალიიდან, საერთოდ ევროპიდან მოაშორა.

მე არ ვიცი, ასწავლიან თუ არა მუნდირის ღირსებას ქართულ სამხედრო სასწავლებლებში, ან არსებობს თუ არა ქართულ ჯარში ოფიცერთა ღირსების სასამართლო, მაგრამ ის, რაც მოვისმინეთ გენერალ კალანდაძის (და თავდაცვის მინისტრ ახალაიას) ერთ-ერთ ბრალდებად – ჯარისკაცთა ცემა-წამება, მიგვანიშნებს, რომ – არა. როცა დასჯის ამ ველურ, სამარცხვინო ზომას უმაღლესი თანამდებობისა და წოდების სამხედროები მიმართავენ, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა განუკითხავად ირჯებიან სერჟანტები და კაპრალები.

დრო იყო, ილია ჭავჭავაძეს რუსის აფიცერი 7 წელიწადში 2 ქართველი გენერლის არსებობას უდიდეს მიღწევად უთვლიდა. მაგრამ მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ დადგებოდა დრო, როცა შვიდ წელიწადში ორი კი არა, წელიწადში საშუალოდ რვა გენერალი შეგვემატებოდა. განსაკუთრებით უხვი იყო 1993 წელი, როცა ოცდაერთმა გუშინდელმა წვრილფეხა საბჭოთა ოფიცერმა დაიკრა გენერლის სამხრეები და წინ წარუძღვა აფხაზეთიდან ძლევამოსილად გამოქცეულ ჩვენს ჯარს.

ისიც სათქმელია, რომ აფხაზეთის ომში დამარცხების შემდეგ ნაბრძოლი მკერდი ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაიმშვენა 14 გენერალმა, II ხარისხის ორდენით – 23-მა, ხოლო III ხარისხის ორდენით – 72-მა.

ე. ი. უჯილდოოდ არც ერთი გამოქცეული სარდალი არ დარჩენილა.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ გაგვემარჯვა, რა ორდენები დაიყრებოდა.

მაგრამ ჩემი მონაცემები, როგორც ხვდებით, მთლად სრული არ არის. არ ვიცი, რამდენი ახალი გენერლით გავბედნიერდით 2008 წლის ომში პირწმინდად დამარცხების შემდეგ. ის კი ფაქტია, რომ დღეს საქართველო პირველია მსოფლიოში ყოველ 1000 მცხოვრებზე გენერლების რაოდენობით.

ახლა გენერლების ძირითადი მასა, რომელიც წაგებული ომის შემდეგ უსაქმოდ იჟანგებოდა, ნაციონალების ტრადიციას აგრძელებს (მუხროვანის ციდან მოწყვეტრილი ამბოხი და სხვ.) და ციხის კონტინგენტს ავსებს (ან ხვალ შეავსებს).

ღირსება დიდი რამ არის.

თუმცა ღირსებას ყველა თავისებურად აღიქვამს.

2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი მიხეილ სააკაშვილი გორში ჩავიდა.

ომის მეორე დღე გახლდათ.

მანქანიდან გადმოსული, ჯავშანჟილეტში გამოწყობილი „მიშა, მიშა“ უცხოელი ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხებდა. უცებ ცას ახედა (მერე თქვეს, ვითომ თვითმფრინავის შორეული ხმა გაიგონაო), ხაფი ხმით შესძახა, „Let's move away!“ („მოვშორდეთ აქაურობას“) და გაქუსლა.

პრეზიდენტი გარბოდა, დაცვა მისდევდა, მათ იქ მყოფი ადამიანებიც მიჰყვნენ. ყოველივე ამას რამდენიმე კამერა იღებდა. ზოგ ვარიანტში კარგად ისმის დაცვის ოფიცრების შეძახილები – „ფეხი დაუდე, მაგის დედა“... „ზევიდან დააფარეთ“...

მალე წამოეწივნენ და მიწაზე წამოჩოქებულს ჯავშანჟილეტები დააყარეს. კადრში ჩანს მიწაზე ოთხით მდგარი სააკაშვილის სრულიად შეშლილი სახე, ისმის დაცვის სიტყვები „ვსიო, ვსიო, მორჩა ყველაფერი, მორჩა, მშვიდად, მშვიდად“... (მოლაპარაკეთა ინტონაცია აშკარად გამოხატავს საარაკოდ მხდალი უმაღლესი მთავარსარდლის მიმართ ხაზგასმულ უპატივცემულობას).

შემდეგ მანქანაში ჩასვეს და გორს მოაშორეს.

ამბავი ამით არ მთავრდება.

ამ დროს იქ იმყოფებოდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი და ბომბებისგან დანგრეულ სახლებს ათვალიერებდა. ის და მისი თანმხლები იქვე იდგნენ, როცა სააკაშვილი მანქანიდან გადმოვიდა (მათი შეხვედრა წინასწარ იყო დაგეგმილი). პირველ წამებში, როდესაც ფრანგ სტუმრამდე არმისული სააკაშვილი მიტრიალდა და მოცოცხა, კუშნერი ვერ მიხვდა რაში იყო საქმე, ვინაიდან გარშემო სრული სიმშვიდე იყო. კუშნერი შეწუხებული კითხულობდა, სად და რატომ მირბისო.

რამდენიმე წამში ყველაფერი ცხადი გახდა. როგორც კი სააკაშვილი „სამშვიდობოს“ გაისტუმრეს, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები კუშნერს მიცვივდნენ: ქალაქში რუსის ჯარი შემოდის, დაწყებულია გორის ევაკუაცია, ამის გამო გავიყვანეთ პრეზიდენტი და ახლა თქვენც უნდა გაგიყვანოთო.

კუშნერმა „ევაკუაციაზე“ ცივი უარი განაცხადა, ხელიც კი აუკრა ხელისუფლების წარმომადგენელს, რომელიც მანქანისკენ თავაზიანად ეჭაჩებოდა. „არ ვიცი, სტალინის მშობლიურ ქალაქში კიდევ როდის მომიწევს ჩამოსვლაო“ და თანმხლებ პირებთან ერთად მუზეუმისკენ წავიდა მანქანით. აუჩქარებლად (თითქმის ერთი საათი დაჰყო იქ) დაათვალიერა მუზეუმი.

როცა შემდეგ ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რას ფიქრობდით მაშინ გორში არსებულ ხიფათზე და რატომ არ იზრუნეთ პირად უსაფრთხოებაზეო, კუშნერმა მოკლედ და შთამბეჭდავად უპასუხა, **მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ საფრანგეთს წარმოვადგენდიო.**

აი, როგორ ესმით ღირსება საქართველოს პრეზიდენტს და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს.

შტრიხი: სააკაშვილი ამ თავმოჭრის შემდეგ ხალხს თავს კი არ არიდებდა, პირიქით – ტელეეკრანიდან აღარ ჩამოდიოდა, თან უფრო აგრესიული გახდა.

ახლა სხვა ეპიზოდი ავიღოთ, სხვა მოქმედი პირებით.

1993 წლის სექტემბერი. სოხუმის დაცემა. მტერი ქალაქის ცენტრშია.

ჟიული შარტავამ უარი თქვა ქალაქიდან გასვლაზე. „მე ეს ქალაქი საქართველომ ჩამაბარა და ამ ქალაქიდან ცოცხალი არ გავალ!“

ცოცხალი არც გასულა.დატყვევებულს პირველი ტყვია მუხლში ესროლეს, რადგან ვერ დააჩოქეს.

ჟიულის გვერდით მყოფმა გურამ გაბისკირიამ, როდესაც უბრძანეს დაეჩოქა, ღიმილით უთხრა მკვლელებს: **„никогда в жизни“**. მათთან ერთად სხვებიც გმირულად დაიღუპნენ, მათ შორის ირაკლი ალასანიას მამა მამია ალასანია.

პატივი და დიდება მათ!

ისინი ღირსების ადამიანები იყვნენ...

ციხეები, საიდანაც ყოველდღიურად ჯგუფ-ჯგუფად თავისუფლდებიან რეაბილიტირებული პატიმრები, თანდათან ივსება ახალი ბინადრებით, გუშინდლამდე რომ წყვეტდნენ ჩვენს ბედს: ჩუმად გვისმენდნენ, გვითვალთვალებდნენ, გვაპატიმრებდნენ – **კუდის** და **სოდის** ჩინოსნები, მერიის წარჩინებულნი გვამნი. როგორც მოვლენათა მსვლელობაზე დაკვირვება გვაკვალიანებს, კიდევ ბევრ „შესახლებას“ მოვესწრებით.

თუნდაც ჩვენი დედაქალაქის ტანადი და შუშხუნა მერი ავიღოთ. გაოცებული ვარ, რა კომეტის სისწრაფით უახლოვდება გიგი ბატონი დილეგს, პირდაპირ ეშმაკს ჰყავს აყვანილი. მარტო ლას-ვეგასის სამი გზობა ოდისეა რად ღირს ცოლთან, ცოლისდასთან, ქვისლთან და ძმაკაც-დაქალებთან ერთად, ან თბილისის სტრიპტიზ-ბარებში გრიალი, რაც მთავარია, სულ სახელმწიფოს ხარჯზე.

კაცმა არ იცის, კიდევ რამდენი გაუყვება გლდანის გზას, ის კი ცნობილია, რომ ათასობით საჩივარია შეესული პროკურატურაში წლების მანძილზე უსაფუძვლოდ დასჯილ-დაპატიმრებულთაგან.

არადა, ამერიკა-ევროპა თავდაპირველი, რასმუსენისეული „შეშფოთების“ შემდეგ, გორდონის პირით უკვე იმას იხვეწება, მთავარია დაკავებებს პოლიტიკური სახე არ ჰქონდესო.

არა, მისტერ ფილიპ, სულ თავანკარა კრიმინალია, ჩვენმა პროკურატურამ ჯერ პოლიტიკისთვის ვერ მოიცალა!..

ამრიგად, ციხის კარი ღიაა, საპარლამენტო უმცირესობის მიერ იმედმიცემული და გამხნევებული პოტენციური დასაპატიმრებლები რიგში დგებიან. ისედაც დაკარგულ ღირსებას ბოლო ბუმბულს აწიწკნიან უღირსებო კაცები.

ალეკო ასლანიშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ არის წინადადება!

ხელოვანების და საზოგადო მოღვაწეების ინიციატივით დაიწყო ხელმოწერების შეგროვება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით, რაც კარგია, მაგრამ, სამწუხაროდ, წინასწარ შეიძლება ითქვას, მას სასურველი შედეგი არ მოჰყვება, თუნდაც, ჩაფიქრებული ასი ათასის ნაცვლად სამასი ათასი ხელმოწერის შეგროვება მოხერხდეს. რატომ? იმიტომ, რომ ხელმოწერებით პრეზიდენტის გადადგომის წესს კანონი არ იცნობს და, როგორც ბ-მა ვახტანგ ხმალაძემ განმარტა, ხელმოწერებით მხოლოდ მორალური ზემოქმედება ხორციელდება ანუ, ჩვენ შემთხვევაში, სააკაშვილის სინდის-ნამუსის შეწუხებას ისახავს მიზნად, რაც, დამეთანხმებით, მხოლოდ ღიმილის მომგვრელია.როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ იმაზე, რაც ბუნებაში არ არსებობს! ყველაფერთან ერთად, მწარე გამოცდილებითაც ვიცით, რომ ამგვარ პროტესტებს შედეგი არ მოაქვს – არათუ გადადგომას, მეორე ტურის ჩატარებასაც ვერ მივაღწიეთ 2008 წლის იანვარში. უშედეგობასთან ერთად, ასეთ წამოწყებას – პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას, არც ე.წ. დემოკრატიული დასავლეთი თვლის გამართლებულ ნაბიჯად.

რაც შეეხება პრეზიდენტის გადაყენებას კანონის ძალით, იმპიჩმენტს. საუკეთესო ვარიანტიც რომ განვიხილოთ, ანუ არც შიგნიდან (ე.წ. ნაცების ოპოზიციიდან) შეგვიშალოს ვინმემ ხელი და, არც გარედან (ამერიკა, ნატო, ევროკავშირი) ზეწოლას ექნეს ადგილი, იმპიჩმენტის პროცედურა ძალიან გაიწელება დროში – პარლამენტის სხდომები, გამოძიება (პრეზიდენტს უნდა დაუმტკიცდეს დანაშაული), საკონსტიტუციო ან უზენაესი (წაყენებული ბრალის მიხედვით) სასამართლო, ისევ პარლამენტის სხდომები (ხმების ორი მესამედის აუცილებლობა!), – ყველაფერი ეს ზაფხულამდე მაინც გაგრძელდება, შემდეგ საზაფხულო არდადეგები და, ოქტომბერიც, ანუ საპრეზიდენტო არჩევნებიც კარს მოგვადგება.

სააკაშვილის გადადგომის საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, პირიქით, მაგრამ ვერ გამიგია, გადადგომას რატომ ვითხოვთ, ცხრა წელია(!) ვიტანთ მის პრეზიდენტობას და თვენახევარი რა გახდა, მოვითმინოთ 5 იანვრამდეც, იქამდე ხომ ზუსტად ამდენი დარჩა!

რას ამბობ, – შემომედავება უამრავი ადამიანი, – პრეზიდენტის არჩევნები კონსტიტუციით(!), 10 თვის შემდეგ, 2013 წლის ოქტომბერშია დანიშნულიო! იყოს ბატონო, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო! კონსტიტუციაში ის ხომ არ წერია, რომ რახან არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს, ამიტომ სააკაშვილს ავტომატურად გაუგრძელდეს პრეზიდენტობა 10 თვითო. ამისთანა სისულელეს 2006 წელს, როდესაც გადაწყდა პრეზიდენტის არჩევნების ოქტომბერში ჩატარება, უბრალოდ არ და ვერ ჩაწერდნენ კონსტიტუციაში – ვინ განჭვრეტდა მაშინ წინასწარ, თუ რა პოლიტიკური სიტუაცია იქნებოდა 2012 წელს საქართველოში! კონსტიტუციაში ურთიერთგამომრიცხავი მუხლები კი იპარება, მაგრამ მთლად აბსურდულ რაღაცებს მასში არ წერენ.

ადვილად გასაგები რომ გახდეს ყველაფერი, თუ რა მაქვს მხედველობაში, თანამიმდევრობით მივყვეთ საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე თავს – „საქართველოს პრეზიდენტი“, და განვიხილოთ ჩვენთვის საინტერესო მუხლები, ანუ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადები და პრეზიდენტის არჩევნები.

მუხლი 70-ის პირველივე პუნქტში ვკითხულობთ იმას, რაც ყოველმა ჩვენგანმა ვიცით: **„საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა... 5 წლის ვადით“.** ანუ, მიხეილ სააკაშვილი არჩეულია 5 (ხუთი!) წლით, მორჩა და გათავდა, წერტილი. ძახილის ნიშანიც შეიძლება!

ამავე მუხლის პუნქტი 9. **„პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა“** (27.12.2006, №4133). აქაც, თითქმის, ყველაფერი ნათელია – არჩევნები, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გაიმართოს სააკაშვილის უფლებამოსილების ამოწურვის წელს, ანუ 2013 წლის ოქტომბერში, და არჩევნების თარიღიც უნდა დანიშნოს მანვე არჩევნებამდე **არაუგვიანეს** 60 დღისა. **„არა უგვიანეს“,** თორემ გამოდის, მას უფლება აქვს დანიშნოს იგი 6 თვით ან ერთი წლით ადრე, სულაც ინაუგურაციის მეორე დღესვე, 5 წლით ადრეც („ცოტა“ უცნაური წესია, მაგრამ ამაზე არ შევჩერდები, ეს არ არის ჩვენთვის მთავარი), ანუ, თუ არჩევნები ოქტომბრის ბოლო კვირას, 27 რიცხვში დანიშნება, ამის თაობაზე პრეზიდენტმა უნდა გვამცნოს აგვისტოს 26-ში მაინც. მაგრამ ამ დროისთვის სააკაშვილი უკვე აღარ იქნება პრეზიდენტი (ის პოტენციური პრეზიდენტიც ვეღარ იქნება!), მას უფლებამოსილების ვადა თითქმის 7 თვის გასული ექნება, ე.ი. არჩევნების თარიღი მან 2013 წლის 5 იანვრამდე უნდა დანიშნოს!

ახლა ვნახოთ რას ამბობს მუხლი 76-ის პუნქტი 3: **„პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი“.** აი, აქ იწყება თავდავიწყება! ანუ ჩვენთვის საინტერესო „წინააღმდეგობები“. ე.ი. კონსტიტუციის ამ მუხლით პრეზიდენტის არჩევნები ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ჩატარდეს სააკაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტიდან, ანუ 5 იანვრიდან 45 დღეში, ანუ 20 თებერვლამდე! ეს კი წინააღმდეგობაში მოდის ზემოთ მოყვანილი 70-ე მუხლის მე-9 პუნქტთან, რომელიც ამბობს, რომ არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს! რა გამოდის, ერთი მუხლი (70-ე) გარკვევით ასახელებს ზუსტ თარიღს (ოქტომბერს), მეორე (76-ე) კი – შედარებით, ზოგადად (უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღეში).

მიხეილ სააკაშვილის უფლებამოსილების ვადები და პრეზიდენტის არჩევნები

ადვილი მისახვედრია, რომ ორივე მუხლის მოთხოვნების შესრულება მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი – თუკი სააკაშვილს არ შეუწყდება უფლებამოსილება 5 იანვარს და იგი გაუგრძელდება 2013 წლის ოქტომბრის ჩათვლით.

კი მაგრამ, ვისა აქვს ამის უფლება? პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე კონსტიტუციის ბევრ მუხლშია საუბარი, მაგრამ ამ ვადის გახანგრძლივების(!)ირგვლივ რაიმე განმარტებას მე ვერ მივაგენი (იქნებ, კონსტიტუცია არც ითვალისწინებს ამგვარ ანტიკონსტიტუციურ ნაბიჯს, გარდა საგანგებო მდგომარეობის შემთხვევებისა!). მაგრამ არა უშავს, მოდით, თავად ჩვენ შევეცადოთ ვუპასუხოთ და ისევ ვიკითხოთ: ვის შეიძლება ჰქონდეს საქართველოს პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების გახანგრძლივების, მისი გაგრძელების უფლება? საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს? საკონსტიტუციო სასამართლოს? მის ამომრჩეველს – ხალხს? იქნებ სულაც ევროკავშირს ან „ნატოს“, სათანადო(!) „რეკომენდაციების“ საფუძველზე?!

დარწმუნებული ვარ, და ამას არ სჭირდება ბისმარკის შუბლი, რომ **პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება შეუძლია იმას და მხოლოდ იმას, ვინაც ის აირჩია, ანუ ხალხს და მხოლოდ ხალხს, და სხვას – არავის!**

სააკაშვილი ვერ იტყვის, რომ იგი 6 წლითაა არჩეული, ვერ იტყვის, რომ პრეზიდენტის არჩევნები არ უნდა ჩატარდეს მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღეში, და – ვერც იმას, რომ არჩევნების თარიღი მან არ უნდა დანიშნოს კონსტიტუციის თანახმად არჩევნებამდე 60 დღით ადრე. უბრალო გაანგარიშებას თუ გავაკეთებთ, მივიღებთ ზუსტ თარიღებს: 5 იანვარს (უფლებამოსილების შეწყვეტის დღე) პლუს 45 დღე, ვღებულობთ 20 თებერვალს, ე.ი. არჩევნები უნდა დაინიშნოს 20 თებერვლამდე(!), და ამ თარიღს გამოკლებული 60 დღე გვაძლევს 22 დეკემბერს, რაც ნიშნავს იმას, რომ 21 დეკემბერს, თავის დაბადების დღეს სააკაშვილმა, ყოველ მიზეზგარეშე, უნდა გვამცნოს არჩევნების ზუსტი თარიღი!

თუკი პარლამენტი 70-ე მუხლს (არჩევნების ოქტომბერში ჩატარებას) მიანიჭებს უპირატესობას, არც ამ შემთხვევაში დაიქცევა ქვეყანა – **უფლებამოსილება, ყველა ვარიანტში, მაინც 2013-ის 5 იანვარს შეუწყდება სააკაშვილს, და პრეზიდენტის მოვალეობას 2013 წლის ოქტომბრამდე უპრობლემოდ შეასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე.**

რაც შეეხება წამოწყებულ ხელმოწერების შეგროვებას, იგი, ჩემი აზრით, უნდა გაგრძელდეს, ოღონდ აუცილებლად უნდა შეიცვალოს მოთხოვნის ფორმულირება. საქმე ის არის, რომ ერთია პრეზიდენტის გადადგომის(!) მოთხოვნა, და სულ სხვაა, როცა ითხოვენ პრეზიდენტობის დასრულებას კონსტიტუციურად მინიჭებულ ვადებში! პირველ მოთხოვნას აშკარა დაპირისპირების, რევოლუციის ელფერი აქვს და მას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება (ცხადია, უცხოეთში, სადაც მოთხოვნის არსში, მის სამართლიანობაში ჩაწვდომისთვის თავს არავინ არ შეიწუხებს);მეორე მოთხოვნა კი, უმაღლესი კანონის აღსრულების სურვილზე მიუთითებს მხოლოდ და, ამიტომაც, მას ყველგან და ყველანი მხარს დაუჭერენ (საქმის არსში ჩაუხედავადაც, ვინაიდან ყველა კითხვაზე პასუხი, თავად მოთხოვნის ფორმულირებაშია).ამიტომ, ჩემი წინადადებაა, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა შეიცვალოს შემდეგნაირად: **„მოვითხოვთ, მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობა დაასრულოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადებში, 2013 წლის 5 იანვარს“!**

ამგვარად ჩამოყალიბებულ კონსტიტუციურ მოთხოვნაზე შეუძლებელია ვინმე, თუნდაც სააკაშვილის აშკარა მხარდამჭერებიდან (ამერიკაში, ევროკავშირ-„ნატოში“), შემოგვედავოს და ჭკუის დარიგება დაგვიწყოს, ან დიპლომატიური თითის ქნევა იკადროს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი, თუკი ხელმომწერთა (საერთოდ, ხალხის) მოთხოვნად პრეზიდენტის გადადგომა დარჩება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას ხაზგასმით, რომ ამ ახალი ფორმულირებით მოთხოვნაც ისეთივე უნაყოფო გამოდგება, როგორც გადადგომის მოთხოვნა, თუ მის ადრესატად მხოლოდ სააკაშვილს მივიჩნევთ. **მოთხოვნა, უპირველესად, მიმართული უნდა იყოს პარლამენტის და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი, რათა მათ გაითვალისწინონ ხალხის კანონიერი ნება, უფლებები და დაეხმარონ აღელვებულ საზოგადოებას პრობლემის კანონის ფარგლებში გადაჭრაში, ანუ სააკაშვილის მშვიდობიანად გასტუმრებაში!**

ჩვენ, ჩვენის მხრივ, **მოდით, ვაცალოთ სააკაშვილს პრეზიდენტობის მშვიდობიანად დასრულება კონსტიტუციურ ვადებში, ანუ 2013 წლის 5 იანვრამდე, რის შემდეგაც, მისი გაჯიუტების, ანუ „ვირზე შეჯდომის“ და პრეზიდენტის სასახლიდან არგამოსვლის შემთხვევაში, სრული კონსტიტუციური უფლება გვექნება ამ სასახლის „კარის აჭედვის“!** არა მგონია, ამ მოთხოვნის და ჩემ მიერ, კონსტიტუციის მუხლებზე დაყრდნობით, ზემოთ გაკეთებული დასკვნის გამანეიტრალებელი რაიმე არგუმენტი ჰქონდეს ნაცების მოლაპარაკე ელიტას, მაგრამ თუკი აქვთ რაიმე სათქმელი, დარწმუნებული ვარ, არ დაგვიმალავენ.

რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობას, იმედი მაქვს, უმრავლესობის ყურამდეც მივა ჩემი წერილის შინაარსი და გაითვალისწინებენ კიდეც მასში გამოთქმულ მოსაზრებებს. ძალიან მიძნელდება უფრო ადვილად განსახორციელებელი სხვა წინადადების, სხვა გზის წარმოდგენა, მაგრამ, ვინ იცის, ეგებ გაცილებით უკეთესიც აქვთ კოალიციაში მოფიქრებული. ღმერთმა ქნას, ყველანი გულით გავიხარებთ!

იაკობ ლეჟავა,
14 ნოემბერი, 2012

◎ ალიან-ჩალიანი

მთავარია, მტკიცებულებები შეგროვედეს და მათ ზურგსუკან არაფერი მოხდება

თუ მტკიცებულებები შეგროვდა, ძალიან ბევრი ადამიანის წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, – ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა.

კითხვაზე, იგეგმება თუ არა გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილის, დათა ახალაიას და ყოფილი სხვა თანამდებობის პირების დაკითხვაზე დაბარება, წულუკიანმა განაცხადა, რომ „თუ მტკიცებულებები შეგროვდა, მათ ზურგს უკან არაფერი მოხდება“.

– თუ მთავარმა პროკურორმა კონკრეტული თანამდებობის პირების გვარები და სახელები დაასახელა და შესაბამისი განცხადება გააკეთა, მე შემიძლია ეს მხოლოდ დავადასტურო, რადგან თუ მტკიცებულებები შეგროვდა, ძალიან ბევრი ადამიანის წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, ამ ადამიანების გვარები და სახელების ხსენება კანონით აკრძალული არ არის და ჩვენ მუდმივად ვიყენებთ სიტყვას „შეიძლება“, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

რაც შეეხება გაერთიანებული შტატების ყოფილი უფროსის გიორგი კალანდაძის საკითხს, წულუკიანის განმარტებით, პროკურატურას ბრალის ახალი ეპიზოდით დამძიმების გამო უფლება აქვს, სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით ისევ მიმართოს. – პროკურატურას არავინ უკრძალავს და მით უმეტეს კანონი – როცა ახალი ეპიზოდით მძიმდება ბრალი, სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით მომართოს. თქვენ გახსოვთ, რომ, როცა ბაჩო ახალაიას ბრალი დაუმძიმდა, შესაბამისმა სასამართლომ მის წინააღმდეგ მეორედ წამიყენა აღმკვეთი ღონისძიება. იგივე ხდება კალანდაძესთან მიმართებაშიც. რაც შეეხება კალანდაძისთვის ბრალის დამძიმების საკითხს, ის დამძიმებული ბრალია, რომლის ხელმოწერაზეც მე რამდენიმე დღის წინათ უარი ვთქვი, რადგან ის მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული. როგორც კი მტკიცებულებები გამყარდა, მას ბრალი დაუმძიმდა. მანამ, სანამ მტკიცებულებებით ბრალდება არ არის გამყარებული, მისი წარდგენა არავის ეშუქრება, – დასძინა მინისტრმა. რაც შეეხება შსს-ს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის თენგიზ გუნავას საჩივარს და პრეტენზიებს, ისინი გამოძიებული იქნება.

– ის არაერთ პოლიციელს ადებს ხელს და ამბობს, რომ დაკავების დროს მისი უფლებები დაირღვა. ჩვენ გამოვიძიებთ თითოეულ ამ პრეტენზიას და თუ დადასტურდა, რომ რომელიმე პოლიციელს ხელი წასცდა და ჩაიდინა კანონდარღვევა, ის მკაცრად იქნება დასჯილი, – განუცხადა წულუკიანმა ჟურნალისტებს. რაც შეეხება გუნავასთან დაკავშირებით ექსპერტიზის დასკვნას, მინისტრის თქმით, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო რეფორმას საჭიროებს, რადგან „იქ ექსპერტებთან ერთად, სხვადასხვა მიკერძოებული ადამიანია გამაგრებული“.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ როცა იუპიტერი ბრაზობს

უგულავა თავის მტერია?!.

(მეორე გვერდიდან) თბილისის მერიამ კი „კვირის რეპორტაჟში“ გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ სტუდია „ჯიენესი“ თბილისის მერიის წინააღმდეგ მიზანმიმართულად მოქმედებს, გიგი უგულავა 2011-2012 წლებში ამერიკაში ოფიციალური ვიზიტებით იმყოფებოდა და მისი ვიზიტებისთვის თანხები თბილისის ბიუჯეტიდან კანონის დაცვით იყო გამოყოფილი.

თბილისის საკრებულოს დეპუტატი ირაკლი შიხიაშვილი, რომელმაც 27 სექტემბერს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ ციხის კადრების გავრცელების შემდეგ დატოვა, აცხადებს, რომ გიგი უგულავას ასეთ გადაცდომებზე მორალური პასუხისმგებლობა ეკისრება, ხოლო მისი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე საუბრისაგან თავს იკავებს და ამბობს, რომ ამას შესაბამისი ორგანოები დაადგენენ.

ირაკლი შიხიაშვილი: **„პირველ რიგში, გეტყვით, რომ შოთა ხიზანიშვილს არ ვიცნობ, მაგრამ შემიძლია თამამად ვთქვა, რომ არავის აკავებენ იმისათვის, რომ შემდეგ ვიღაცაზე „გავიდნენ“. თუ ვინმემ თავის სამსახურებრივ უფლება-მოსილებას გადაამეტა და საზოგადოების წინაშე რაიმე ბრალი მიუძღვის, მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება პროკურატურის მიერ იმ ადამიანის გამოძახება და მასთან მოწმის სახით გასაუბრება. არასწორია იმის თქმა, რომ ვინმეს დისკრედიტაცია მიზანმიმართულად მიმდინარეობს.**

მოგეხსენებათ, „ნაციონალური მოძრაობა“ მუდმივად ამბობდა, რომ მოსახლეობას ძალიან ბევრ სიკეთეს უკეთებს, თუმცა ხელისუფლების ვალდებულებაა, რომ საზოგადოების სასიკეთოდ იმოქმედოს და ბიუჯეტი სწორად და მიზნობრივად ხარჯოს. აქედან გამომდინარე, მუდმივად იმის ძახილი, რომ ჩვენ რაღაცას გიკეთებთ, ჯერ ერთი ყვედრებას ჰგავდა. მეორეც, ამასაც თავი რომ დავანებოთ, „ნაცმოძრაობა“ ფასადურ სიკეთეებს ახორციელებდა, მაგრამ როდესაც სიღრმეებში ჩავიხედეთ, თავად საკრებულოს წევრებიც კი გაოგნებულები დავრჩით, რადგან ეს ინფორმაცია ჩვენამდე არათუ მოდიოდა, საერთოდ წარმოდგენაც კი არ გვქონდა, ასეთი რამ თუ ხდებოდა.

— თუ შეიძლება დააკონკრეტეთ, რაზე საუბრობთ?

— ჩვენამდე არ მოდიოდა ინფორმაცია მერის ვიზიტებთან, ამ ვიზიტების მიზნობრიობასთან და ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით, თუ რაში იხარჯებოდა ბიუჯეტის ფული. თბილისის მერი თავის ადმინისტრაციასთან ერთად ამგვარ გადაწყვეტილებებს ღებულობდა ისე, რომ საკრებულო საერთოდ საქმის კურსში არ იყო. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ მერს ქალაქის ხელისუფლება უზურპირებული აქვს. შეუცდომელი ადამიანი არ არსებობს და თუ ადამიანი დაინტერესებულია, რომ მართლაც სწორად და კარგად წარმართოს თავისი საქმიანობა, თვითონ უნდა ჰქონდეს სურვილი, რომ მის ხელში განუსაზღვრელი ძალაუფლება არ მოხვდეს. განუსაზღვრელი ძალაუფლება ყველას რყვნის. ქალაქის მერი მოტივად იმას რომ მოიტანს, თითქოს ლასვეგასში დასუფთავების მანქანების ჩამოყვანის მიზნით მიემგზავრება, პირადად მე, თვალში ნაცრის შეყრად მიმაჩნია. როდესაც შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან, თვითონ გაარკვევენ ხარჯვით ნაწილში რამდენად კანონიერი და მიზნობრივი იყო ეს ყველაფერი.

რაც შეეხება შოთა ხიზანიშვილის დაკავებას, რამდენადაც ვიცი, იგი იმ საქმიანობის გამო არის დაკავებული, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობის დროს ახორციელებდა. მას გულითაც რომ სდომებოდა მერიაში რაიმე ცუდის ჩადენა, ვერც მოასწრებდა, რადგან იმდენად ცოტა ხანი იმუშავა მერის მოადგილედ, რომ მგონი, ეს შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ შოთა ხიზანიშვილის დაკავებით გიგი უგულავაზე გასვლა და ამაზე ასეთი ფორმულირებით საუბარი, სერიოზულად არ მიმაჩნია. თუ უგულავამ რაიმე ისეთი ჩაიდინა და მისი ბრალეულობა გამოიკვეთება, ბუნებრივია, კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწორი უნდა იყოს. შესაბამისად, არც უგულავას ექნება განსაკუთრებული იმუნიტეტი, როგორც ნებისმიერ სხვას არ უნდა ჰქონდეს.

მეტსაც გეტყვით, როდესაც „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში მოდიოდა, თავის წინამორბედს, ანუ შევარდნაძის ხელისუფლებას სწორედ იმის გამო აკრიტიკებდა, რომ ისინი ბიუჯეტის სახსრებს არამიზნობრივად ხარჯავდნენ, აჩვენებდნენ მათ სახლებს, მანქანებს, აგარაკებს, საუბრობდნენ მათ ვიზიტებზე და ა.შ. როგორც იკვეთება, შემდეგ ისე მოხდა, რომ თვითონ უარესს სჩადიოდნენ. კიდევ ერთხელ ვამბობ, არ მიმაჩნია სწორად ფორმულირება, თითქოს ეს დაკავებები რევანშის მიზნით მიმდინარეობს. უბრალოდ, „ნაცმოძრაობას“ სურს, საზოგადოებას ყველაფერი ასე დაანახოს. ცოტა ხნის წინ, დავით დარჩიაშვილმა პრესკონფერენცია ჩაატარა და საზოგადოების სახელით საუბრობდა. „ნაცმოძრაობას“ გონება დღესაც დაბინდული აქვს და ვერ მიხვდა, რომ საზოგადოების სახელით საუბრის უფლება მას საზოგადოებამ უკვე კაი ხანია ჩამოართვა.

— თქვენ ამბობთ, რომ საკრებულოს წევრები, უგულავას ვიზიტების მიზნობრიობასთან და ხარჯვით ნაწილთან დაკავშირებით საქმის კურსში არ იყავით. ეს ყველას ეხებოდა?

— მე არ ვიცი, ეს ყველაფერი იცოდა თუ არა საკრებულოს თავმჯდომარემ, მისმა მოადგილე მამუკა ახვლედიანმა, საბიუჯეტო ან სარევიზიო კომისიის რომელიმე წევრმა, ან საკრებულოს რომელიმე ასეთი თანამდებობის პირმა, მაგრამ მე და საკრებულოს წევრების აბსოლუტური უმრავლესობა ამის შესახებ ინფორმირებულები არ ვიყავით. როდესაც ამ თემაზე ერთმანეთთან ვისაუბრეთ, ყველა მხრებს იჩეჩავდა და გაოგნებული იყურებოდა. იცით რა არის, მილიონიან ქალაქში ნებისმიერი მოქალაქე რომ გააჩეროთ და ჰკითხოთ - რისთვის მიფრინავს ადამიანი ლასვეგასში? რა თქმა უნდა, ყველა გიპასუხებთ, გასართობადო, ხოლო როდესაც ამბობენ, უგულავა ნაგვის მანქანების დასათვალიერებლად და შესაძენად იყო წასულიო, ამის გაგონებაზე ნებისმიერმა მოქალაქემ შეიძლება უბრალოდ ღიმილი ვერ შეიკავოს.

— როდესაც ქალაქის მერი თავის მეუღლესა და მეგობრებთან ერთად საბიუჯეტო სახსრებით ამგვარ ვოიაჟებს აწყობს, არის თუ არა ეს დანაშაული? თუნდაც სისხლის სამართლის დანაშაულზე არ ვისაუბროთ, და მორალურ პასუხისმგებლობაზე გავამახვილოთ ყურადღება, თქვენ, როგორც საკრებულოს წევრი, რა აზრის ხართ ამაზე?

— მორალური დანაშაული არის, მაგრამ სამართლებრივ ჭრილში მე განცხადებას ვერ გავაკეთებ, რადგან ამაზე, ალბათ, პროკურატურა ისაუბრებს, თუ მერის ქმედებაში დანაშაულის ნიშნებს იპოვის. საერთოდ კი „ნაცმოძრაობის“ მესვეურებს იმდენად ჰქონდათ ცაზე ხელი მიბჯენილი და იმდენად მოსწყდნენ საზოგადოებას, რომ თავიანთ თავს, ალბათ, ვეღარ აკონტროლებდნენ. მათ რეალურად არ აწუხებდათ საზოგადოების პრობლემები და დღეს, როდესაც ისინი ქართულმა საზოგადოებამ მიწაზე დაანარცხა, დგანან და პატარა ბავშვს დანაშაულზე რომ წაასწრებენ, ისე იქცევიან. ჩემი რჩევა იქნება, რაც უფრო მალე გახდებიან გულწრფელნი, უკეთესია. გულწრფელობა სინანულით იწყება და სანამ საზოგადოება ამ გულწრფელ სინანულს არ დაინახავს, მანამ არაფერს აპატიებს მათ. ხალხმა ხმა მისცა სამართლიანობას და ვხედავ, რომ ამ თავის მონაპოვარს ის აუცილებლად კბილებით დაიცავს. ამის შემდეგ საზოგადოება არც ერთ ხელისუფლებას აღარ მისცემს უფლებას, რომ ხელისუფლების უზურპაცია მოახდინოს. ხალხი აბუჩად აგდებული აღარ იქნება და იქნება მომთხოვნი. ეს ახალმა ხელისუფლებამაც იცის და ყველამ უნდა იცოდეს, ვისაც ხელისუფლებაში ყოფნა სურს. „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნა კი დამთავრდა, რადგან ისინი იმდენად დისკრედიტირებულები არიან, რომ მათ ხელისუფლებაში დაბრუნების არანაირი შანსი აღარ აქვთ. ერთადერთი, რაც შეუძლიათ, გამოვიდნენ და ქართველ საზოგადოებას ბოდიში მოუხადონ და თუ ქართველმა ხალხმა მათ გულწრფელი სინანული შეატყო, შესაძლოა, აპატიოს კიდეც. ამას უგულავა, რაც უფრო მალე გაიგებს, მისთვისვე უკეთესია, ხოლო თუ ჩემი მხრიდან ამას ქილიკად ჩათვლის, მაშინ ვიტყვი, რომ ეს კაცი თავისი თავის მტერია.

ნინო ულენტი

◎ SIC!

ჯანყი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორები უნივერსიტეტის ადმინისტრაციას პროფესორ-მასწავლებელთა შესარჩევი კონკურსების გაყალბებაში ადანაშაულებენ და თავიანთი უფლებების აღდგენას სასამართლოს გზით აპირებენ. ამის შესახებ მათ for.ge-ს პრესკლუბში განაცხადეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ყოფილი მოადგილე ავთანდილ სილაგაძე აცხადებს, რომ 2006 წლიდან უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა შესარჩევი არაერთი კონკურსი ჩატარდა და დღემდე არ დასრულებულა დავები, რომლებიც ამ კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით მიმდინარეობს. სილაგაძის განცხადებით, 2006 წელს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის თანამდებობა პროტესტის ნიშნად დატოვა და ეს გახდა იმის საფუძველი, რომ შემდგომ წლებში უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის საშუალება აღარ მიეცა. მისივე თქმით, არაერთი გამოჩენილი მოღვაწე, მეცნიერი უნივერსიტეტის კედლებს მიღმა დარჩა და ისინი დღემდე ვერ აკეთებენ საკუთარი თავის რეალიზაციას, რითაც უნივერსიტეტის სტუდენტობა ზარალდება.

„კონკურსების გარდა, უნივერსიტეტში უამრავი საკითხია. უნივერსიტეტის ბიუჯეტი 58 მილიონს აღემატება. როდესაც აქ ასე უხარისხოდ მუშაობენ, ბუნებრივია, მიჩნდება კითხვები, როგორ იქნება უნივერსიტეტში ფინანსური და სხვა მრავალი საკითხი მოგვარებული? ამიტომ აქ უფრო ფართოდ და გლობალურად დგება კომპეტენციის საკითხი“, — ამბობს ავთანდილ სილაგაძე.

მისი თქმით, იძულებული გახდა სასამართლოსთვის მიემართა, რადგან უკვე სამი თვეა უნივერსიტეტისგან ითხოვს, მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ანუ ის შენიშვნები, რაც საკონკურსო კომისიამ მასთან მიმართებაში გამოთქვა, მისთვის გადაეცათ. გარკვეული გაჭიანურების შემდეგ მას უნივერსიტეტმა მისცა ეს დოკუმენტაცია, მაგრამ მათ შორის არ იყო სწორედ ის დოკუმენტი, რომელთან დაკავშირებითაც სილაგაძეს გარკვეული ეჭვები აქვს. საუბარია, კონკურსის მეორე ტურის, ანუ გასაუბრების ამსახველ ოქმზე, რომელიც მას დღემდე არ მიუღია. ავთანდილ სილაგაძე ეჭვს გამოთქვამს, რომ კომისიის წევრები ამ დოკუმენტაციაზე ხელს ისე აწერენ, რომ თავად კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობენ. ამის დამადასტურებლად მას მოჰყავს კონკურსის პირველი ტურის (ანკეტური მონაცემების შეფასება) შეფასების დოკუმენტი, რომლის მხოლოდ ბოლო გვერდს აწერენ ხელს კომისიის წევრები, მაგრამ ამ გვერდს არც რიცხვი აქვს, არც წინა გვერდის გაგრძელებაა და არც გვერდების ნუმერაცია ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ სილაგაძე ვარაუდობს, რომ ასეთი ბოლო გვერდები წინასწარ იყო კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი, შემდეგ გამრავლებული და კონკურსანტების დოკუმენტაციაზე უკვე შემდეგ მიბმული, რის გამოც მას ეჭვი აქვს, რომ წინასწარ იყო იმ ადამიანების სია შედგენილი, ვინც კონკურსში უნდა გასულიყო.

„კონკურსების გარდა, უნივერსიტეტში უამრავი საკითხია. უნივერსიტეტის ბიუჯეტი 58 მილიონს აღემატება. როდესაც აქ ასე უხარისხოდ მუშაობენ, ბუნებრივია, მიჩნდება კითხვები, როგორ იქნება უნივერსიტეტში ფინანსური და სხვა მრავალი საკითხი მოგვარებული? ამიტომ აქ უფრო ფართოდ და გლობალურად დგება კომპეტენციის საკითხი“, — ამბობს ავთანდილ სილაგაძე.

უნივერსიტეტის კიდევ ერთი ყოფილი პროფესორი სანდრო თვალჭრელიძე აცხადებს, რომ ავთანდილ სილაგაძე მის მიერ მოთხოვნილ ოქმს ვერასოდეს მიიღებს, რადგან ასეთი დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს. აქვე იგი მის მიმართ ჩატარებულ კონკურსზეც საუბრობს.

სანდრო თვალჭრელიძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორები ყოველთვის აკადემიური ხარისხის მქონე პირები იყვნენ, გარდა გასული საუკუნის 30-ინი წლებისა, როდესაც ყველგან ე.წ. „წითელი კომისრების“ დანიშვნა ხდებოდა. სანდრო თვალჭრელიძის თქმით, იმ პერიოდის შემდეგ მხოლოდ ახლა მოხდა ისე, რომ უნივერსიტეტის რექტორად აკადემიური ხარისხის არმქონე პირი ალექსანდრე კვიტაშვილი დაინიშნა.

უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი გია ბარამიძე აღნიშნავს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კორუფცია ჰყვავის და ეს არის აკადემიური კორუფცია. ამის მაგალითად მას მოჰყავს საკონკურსო კომისიების მუშაობა.

იგი აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე პროფესორები სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდებიან და თუ ეს გადაწყვეტილება ობიექტური არ იქნება, მაშინ ისინი უკვე პროკურატურას მიმართავენ, ამასთანავე, სასამართლოში საქმის წარმოების დოკუმენტაციას განასაჯაროვებენ და ამით მთელი საზოგადოების (მათ შორის საერთაშორისო საზოგადოების) ყურადღებას მიიპყრობენ. გია ბარამიძის განცხადებით, კონკურსების შედეგების გაყალბებაში დიდი როლი დეკანატებმაც შეასრულეს.

ნინო ნინოშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მაპის მოლოდინში

პოლიტაბები სააკაშვილისგან

ვიდრე სააკაშვილის მიერ შემოთავაზებულ პოლიტაბებზე რამეს ვიტყოდე, არ შემიძლია, არ გავიხსენო ვასიკო ოდიშვილის საქვეყნოდ გახმაურებული საღამოს აბები, რომლის მიღების წინ ხუმარა ტელეწამყვანი კაი გამოცდილი დასტაქარივით გვარიან საკონსულტაციო რჩევებს გვაძლევს: პატივცემულო მსმენელებო! ჩემს ნათქვამზე თუ არ გაგეცინოთ, არ იფიქროთ, რომ იუმორის გრძნობა გღალატობთ. სულაც არა, შეგიძლიათ, მშვიდად იყოთ, უბრალოდ მიიღოთ ჩემ მიერ რეკომენდებული აბები და მყისიერ ეფექტს არ დაელოდოთ!

ხუმარა ოდიშვილისგან განსხვავებით, დაბრძენებული პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც, ასევე, უახლესი ტექნოლოგიით დამზადებულ საკუთარი წარმოების პოლიტაბებს გვთავაზობს, „პაციენტების“ მიმართ გაცილებით სერიოზული და მომთხოვნია, მით უფრო თუ საქმე საზღვარგარეთთან, კერძოდ კი, ნატოსთან და ევროკავშირთან, ურთიერთობის საკითხს ეხება. კარგად დაიმახსოვრეთო, გვიცხადებს კატეგორიულად ნეტარპრეზიდენტი, როცა უცხოეთში ხართ, სულაც არ არის საჭირო, პიარის ხაზით ჩემ მიერ მიღწეულ პროფესიონალიზმზე ილაპარაკოთ, მსმენელი დაარწმუნოთ, რომ ამ პროფესიონალიზმის წყალობით, ყველას და ყველაფერს, მთელ ევროპას ვატყუებდიო. პირიქით, უცხოელები უნდა დავაჯეროთ, რომ ის ტყუილები, რითაც მათ ვაცუცურაკებდი, სინამდვილეში ტყუილები კი არა, სიმართლე იყო. ასეა საჭირო დემოკრატიის გზაზე შემდგარი ჩვენი ქვეყნისთვის და ასე უნდა ვილაპარაკოთ, განსაკუთრებით ახლა, როცა მას სათავეში გამოცდილი და საქმიანი ნაციონალების ნაცვლად ივანიშვილის ახალბედა და პოლიტიკაში გაუწაფავი ხელისუფლება ჩაუდგაო.

როდის „გააჟღერა“ სააკაშვილმა ეს სიბრძნე? ახლახან არ იყო, შე კაცო, სააკაშვილმა ევროპული ტურნე წარმატებით რომ დალაშქრა? რას არ გაიგონებ და რას არ მოისმენ კაცი, ვასიკოს თქმისა არ იყოს, ამ „ჩვენი მაღალისგან“. **გაგიკვირდება პირდაპირ, სააკაშვილი, რომელიც თავისი მმართველობის წლებში საკუთარი მთავრობის პრესტიჟს ოდნავადაც არ უფრთხილდებოდა (რა სახის უზნეობას აღარ სჩადიოდნენ), ახლა ივანიშვილის მთავრობას დაუდგა დარაჯად და შინ თუ გარეთ ცივ ნიავს არ აკარებს, ამ უკანასკნელის მისამართით გამოთქმულ თუ რამე აუგს მოჰკრა ყური, თურმე გული ეწიწკნება, სასტიკად ღელავს და ციებიანივით განიცდის.**

აფსუს! ცოტა ადრე რომ ჩამოერიგებინა სააკაშვილს ჩვენთვის ეს გამორჩეულად მარგებელი პოლიტაბები, ამდენ სისულელეს ხომ აღარ ჩავიდენდით. პირადად მე და ბევრმა ჩემნაირმა ჟურნალისტმა, მაგალითად, არც კი ვიცოდით, თურმე რამხელა პოლიტიკურ და მორალურ ზიანს ვაყენებდით საკუთარ ქვეყანას, როცა სააკაშვილის საარაკო ტყუილებისა და ცრუპენტლობის მაღალ პროფესიონალიზმზე საგაზეთო სტატიებსა და კორესპონდენციებში ღიად და საჯაროდ ვსაუბრობდით. არადა, რანაირად შეგვეძლო გვერდი აგვექცია იმ რეალობისთვის, რასაც ამ პიარტყუილების წყალობით საქართველომ მსოფლიო დემოკრატიის საგანძურში შეიტანა? ჩვენ კი არა, თავად „ქართული ოცნების“ თავკაცმა ბიძინა ივანიშვილმაც კი, რომელიც თავისი სიფრთხილითა და დაკვირვებულობით მთელ ევროატლანტიკურ სივრცეში გამორჩეულია, „ვერ მოზომა“ და ქვეყნის საპარლამენტო უმცირესობის „მეტყვიამფრქვევეებს“ პირდაპირ მიახალა: **„ვიქნები ყოველთვის რეალისტი და ნაცების ფასადურ დაპირებებს არ გავიმეორებ. მათ ტყუილებით მსოფლიო ინსტიტუტები შეცდომაში შეიყვანეს და რაღაც ყალბი რეიტინგები მიიღეს. ჩვენ უარს ვამბობთ სიცრუისა და ძალადობის მანქანაზე, ჩვენ ვიქნებით რეალისტები და საზოგადოებას მივაწვდით რეალურ ინფორმაციას და არა ფასადურს. თქვენი თანაგუნდელები კი, რომლებიც იდეოლგიასა და დემაგოგიას ერთმანეთში ურევენ, ტყუილებს ვეღარ გაასაღებენ, სიცრუეს აღარ ექნება გასავალი“.**

დავიჯეროთ, რომ მიშნაცების დემაგოგიასა და პიარტყუილებს გასავალი მართლაც აღარ ექნებათ? ჩვენთან, საქართველოში, სადაც ხალხმა ამ დემაგოგიის ნაყოფი მწარედ იგემა, ასეც იქნება, მაგრამ როგორ იქნება საქმე უცხოურ დემოკრატიულ ინსტიტუტებში, სადაც დღესდღეობით ნაცების ნახლაფორთევი ერთადერთი საექსპორტო პროდუქცია (პიარტყუილები) კვლავ შეუფერხებლად და „განუბაჟებლად“ შედის? ამაზე „უტყუარ“ პასუხს იძლევა თუნდაც ამ ორიოდე დღის წინათ ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე ანდრეს ფოგ რასმუსენის მიერ გაკეთებული განცხადება, მას შემდეგ, რაც ნატოს გენმდივანთან შეხვედრისას, როგორც ვარაუდობენ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს ახალი მთავრობის მიერ პოლიტიკურ ოპონენტებთან ჩადენილ „რევანშისტულ“ საქმიანობაზე არა ერთი და ორი „ნივთმტკიცება“ წარადგინა.

ჰოდა ამ ამბით შეშფოთებულმა რასმუსენმა ისეთი „მკვახე“ განცხადება გააკეთა, რომ მსოფლიოს მთელი დემოკრატიული ელიტა განაცვიფრა. მე უკიდურესად შეწუხებული ვარ, – თქვა მან, – **არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენებით, რომელიც საქართველოში პოლიტიკური ოპონენტების დაკავებას უკავშირდება.** ამ საკითხების გადაწყვეტა სასამართლო სისტემის პრეროგატივაა, მაგრამ, ცხადია, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი საქმეები პოლიტიკური ჩაგვრის გარეშე განიხილებოდესო, – დასძინა ნატოს გენერალურმა მდივანმა.

მართალია, პრემიერ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ ბატონმა რასმუსენმა თავისი მწვავე გამონათქვამებიდან ზოგი რამ შეარბილა, მაგრამ „ქართული ოცნების“ თავკაცმა, როგორც სჩვევია ხოლმე, უხერხულობა რომ განემუხტა, მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა: სწორეა ბატონი რასმუსენი, როცა აცხადებს, შეშფოთებული ვარო. მართლაც **„შემაშფოთებელია ის, რაც ხდებოდა საქართველოში და არა ის, რაც დღეს ხდება. ეს არის პასუხი ძველ ქმედებებზე და, ალბათ, ეს ჰქონდა მხედველობაში რასმუსენს“.**

ბიძინა ივანიშვილისგან განსხვავებით, ახალი მთავრობის დაუფიქრებელი საქციელის, უფრო სწორად, უსაქციელობის გამო, დიდად შეწუხებულია პრეზიდენტი სააკაშვილი (ლამის ცრემლები წამოსცვივდეს), რომელიც ფიქრობს, რომ **ქვეყნის მაღალჩინოსნების პოლიტიკური მოტივით დაკავება მას (მთავრობას) გამოუცდელობით მოსდის და თუ დროულად არ მიხედა ამ პრობლემას, შესაძლოა, ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზას აცდინოს და ნატოსგან შეპირებული მაპიც, რასაც ნაცმოძმა დიდი გარჯითა და ღვწით მიაღწია, ქარს გაატანოს.**

რამდენად ეფექტურია ნაცების მიერ საექსპორტოდ გატანილი სააკაშვილისეული პოლიტაბების უცხოურ დემოკრატიაზე სამკურნალო ზემოქმედება, როგორც უკვე ვთქვი, პრაღისა და ბრიუსელის ფორუმებზე უკვე გამოჩნდა. თუმცა, იქაური ეფექტი რა სათქმელია იმასთან შედარებით, რაც თავად ჩვენთან, საქართველოს ნაცმოძრაობაში ხდება. ამ მოძრაობის გამორჩეული ლიდერები (ნ. წიკლაური, გ. გაბაშვილი, პ. კუბლაშვილი, ა. მინაშვილი, ჩ. თაქთაქიშვილი და სხვები) არა მარტო თავად ბობოქრობენ, ხალხსაც მოუწოდებენ ახალი მთავრობის რეპრესიული რეჟიმისგან იხსნან უსამართლოდ და დაუსაბუთებლად საპატიმროებში გამომწყვდელი ქვეყნისათვის ტანჯული რაინდები. ეს რა უბედურება ხდება, ხალხო, ჩვენს თავს! – ლოყებს იკაწრავს ცრემლში ჩამხრჩვალი თეა თუთბერიძე. არჩევნებით მოსულ მთავრობას მორალს უკითხავს აფრასიძეების ოჯახზე „ლაშქრობის“ მონაწილე გია ბარამიძეც: **ხალხი თქვენგან ელოდა ხვნა-თესვას, ტარიფების დაწევას, სხვა უამრავ სიკეთეს, თქვენ კი რას შვრებით, ბატონებო, ამ დაპირებების შესრულების ნაცვლად ხალხი ოპონენტების მასობრივი დაპატიმრებებით გსურთ გააბრუოთ?!**

ამაზეა ნათქვამი, იქით შეედავე, აქეთ შეგრჩებაო. ეტყობა, ამის იმედი აქვთ განგების „უსამართლობით“ დაჩაგრულ ქართველ ნაციონალებსაც, მაგრამ პარლამენტის სპიკერი დავით უსუფაშვილი ამ უკანასკნელ შანსსაც ართმევს, როცა ეუბნება: თქვენ, ჩემო ძმებო, ადრევე უნდა მომზადებულიყავით ფსიქოლოგიურად იმ დანაშაულებებზე პასუხის საგებლად, რომელთა გამო ხალხმა ხელისუფლებას ჩამოგაცილათო.

ჰოდა, რადგან ვერ მოემზადნენ, მიშნაცებს ახლა თავადვე მოუწევთ იმ პოლიტაბების ყლაპვა (ყოველი ჭამის წინ ნახევარი საათით ადრე), რომელიც ქვეყნის კეთილმსურველმა სააკაშვილმა დანარჩენი საქართველოსთვის გამოიმეტა. ოღონდ იმ პირობით, როგორც ვასიკო ოდიშვილი სთავაზობს ხოლმე თავის მსმენელებს – მიიღეთ, ბატონებო, ყოველდღიურად სააკაშვილის მიერ გამოწერილი პოლიტაბები, ოღონდ მყისიერი ეფექტის იმედი ნუ გექნებათ!

ოთარ ხუციშვილი

◎ პროტესტი

თელასელები შუქისთვის იბრძვიან...

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში იმდენი საპროტესტო აქცია და სხვადასხვა საწარმოს მუშაკთა გაფიცვა გაიმართა, რაც მანამდე ბარე ცხრა წლის მანძილზე არ ყოფილა.

ამჯერად თქვენი ყურადღება, პატივცემულო მკითხველო, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე, საქციო საზოგადოება „თელასის“ თანამშრომელთა საპროტესტო აქციაზე გვინდა შევაჩეროთ, რომლებიც დიდუბეში ფირმის ოფისის წინ ერთი კვირის მანძილზე შიმშილობდნენ. პროტესტის საბაბი „თელასიდან“ ჯერ კიდევ ზაფხულში შემცირებაში მოყოლილი 125 თანამშრომლის გათავისუფლებაა. ამ ჯერზე სამუშაოდან კანონის დარღვევით გათავისუფლებულ კოლეგებს თბილისის ყველა რაიონის თელასელმა გამოუცხადა სოლიდარობა, რომელთაგან სამშაბათს სამუშაოდ არავინ გასულა. პროფკავშირების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ 20 ნოემბერს თელასელებმა საპროტესტო აქცია შეწყვიტეს, თუმცა 21-დან, ვიდრე კოლეგებს არ აღადგენენ და მათ მოთხოვნებს არ შეასრულებენ, აქცია კვლავ გაგრძელდება.

ნინო ალექსანდრია.
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ინფორმაცია

საპროტესტო აქცია წინანდალში

წინანდალში, გუშინ ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი თელავის რაიონის ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს თამაზ ხიდაშელს დაუპირისპირდა.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი კახეთიდან იუწყება, მოსახლეობამ წინანდალში საპროტესტო აქცია გამართა, რომელზეც თამაზ ხიდაშელი შპს „ღვინის საგანძურის“ ერთპიროვნულად გასხვისებაში დაადანაშაულა, რომელშიც ღვინის ქარხანა, საბავშვო ბაღი და მეურნეობა ერთიანდებოდა. აქციის მონაწილეები ყოფილ მეპატრონეს 220 000 ლარის სახელფასო დავალიანების გასტუმრებას სთხოვენ. ამასთან წინანდლელები ახალ ხელისუფლებას საბავშვო ბაღის აღდგენის მოთხოვნით და გაყიდული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნით მიმართავენ.

ბრალდებებზე თამაზ ხიდაშელი კომენტარს არ აკეთებს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ღვაწლიანი მეოცესაუკუნელეები

I. მეფოლადეც და მეზვრეც

სიტყვა „ორსატრფოიან“ მეგობარზე



მგონი, აღმოსაჩენი სულაც არ იყო ის ამბავი, რომ მეზვრეზე ვაზი ახდენდა იმთავითვე ზეგავლენას და იმსგავსებდა, სოლო მეტყველზე – ტყე, ოქრომჭედელზე – ოქრო, ანუ ამით იმის თქმა მინდა, რომ დაკვირვებულ ადამიანს სულაც არ უნდა გაუჭირდეს თავის თანამოსაუბრეში იმ პროფესიის გამოცნობა, რა პროფესიისაც ის თანამოსაუბრეა.

მე ჩემს დაკვირვებულობაზე იქნებ მაინცდამაინც დიდი წარმოდგენისა არა ვარ, მაგრამ სწორედ ასე დამემართა ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ **გურამ ქაშაკაშვილთან** პირველი შეხვედრისას. ჩვენი საქმიანი საუბრის შემდეგ, რამაც ჩემთვის ცხადი გახადა გურამის ხასიათის არაერთი თვისება თუ თავისებურება, კერძოდ კი, სიმტკიცე და შეუვალობა, უმალ მივხვდი, რომ ის იმ ძველ მჭედელთა მოდგმისა იყო, რომელთაც ქართველ მეომართათვის „ხმალ-მახვილის კვერვა და ტყვია-ხმლის შეუვალი ბექთარის კერვა“ ევალებოდათ.

ვინც გურამ ქაშაკაშვილს სიღრმისეულად იცნობს, უსიტყვოდ დამეთანხმება, რომ ამ ხორციან-სულიანად ქართულად ნაგებ კაცში თანდაყოლილ ფოლადურობას დიახაც ფოლადთან თანაცხოვრების ბევრი რამ კაცურკაცობის უტყუარ თვისებად ქცეული ნიშანი ახლავს. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ გურამ ქაშაკაშვილისთვის დამახასიათებელი თუნდაც ურყევი ადამიანური ერთგულება, მიცემული სიტყვის გაუტეხლობა, წლების ნირუცვლელი დაუმორჩილებლობა, თუ არა სწორედ მთელი ცხოვრება ფოლადთან მეგობრობას.

აქ აღარაფერს არ ვამბობ ამ ფრიად გამორჩეული მეოცესაუკუნელი ქართველის მართლაც აუწონელ ღვაწლზე ქართული მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საშვილიშვილო საქმეში, ეს უკვე საქვეყნოდ ცნობილია, აღარაფერს ვამბობ არც მის მრავალწლიან საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, ესეც ყველასაგან ერთპირად აღიარებულია.

მაგრამ ორი სიტყვით აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ გურამ ქაშაკაშვილს ფოლადის გარდა ჰყავს მეორე „სატრფოც“, ქართული ვაზი.

არა მგონია, ზედმეტი მომივიდეს, თუ ვიტყვი, რომ გურამ ქაშაკაშვილზე უფრო უკეთესად ვინმე აყენებდეს ღვინოს საქართველოში. და იქნებ არა მარტო საქართველოში. თუ არ გეჯერებათ, ჯერ დააჭაშნიკეთ და მერე გამამტყუნეთ.

ალბათ, ამიტომაც არის, რომ როგორც კი ჩემს ყურს ეს ორი სიტყვა – ფოლადი და ღვინო – შეეხმიანება (რა საკვირველია, ქართულ ფოლადსა და ქართულ ღინოზე ვლაპარაკობ!) იმ წუთას ეს ტანმორჩილი, მაგრამ სულით მაღალი ქართველი კაცი დამიდგება ხოლმე თვალწინ, რომელიც ბრძმედსა და საწნახელს ერთნაირი ვნებით არის „გამიჯნურებული“...

II. ქართველი რაიკინი

კაცი, რომელიც თვითონ არ იცინოდა, მაგრამ სამაგიეროდ მთელ საქართველოს მუცელი ხელით გვეჭირა, ისე გვაცინებდა

არის ხალხი, ანეკდოტს ან რამე სასაცილო ამბავს რომ გიყვება, თვითონ უფრო ადრე იწყებს სიცილს, ვიდრე შენ გაიცინებდე. ამიტომ ხშირად ყურს აღარც უგდებ შენს ასეთ გაცინების მსურველს. თუმცა იმასაც დიდად არ ანაღვლებს მიზნის მიუღწევლობა.

ეს კაცი, რომელსაც მე ქართველ რაიკინობას მივაწერ, როგორც სიცილის დიდოსტატი, თანაც, ალბათ, მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, როგორც ქართული სიცილის დიდოსტატი, თვითონ რაიკინისგანაც განსხვავდებოდა და უწინარესად სწორედ ამით, ქართული სიცილით.

იქნებ სიცილის ეროვნულობა ზოგს, ცოტა არ იყოს, შუმ ნაციონალიზმადაც ეჩვენოს და ქართული ტირილის ან ქართული ღიმილის არარსებობაც შემახსენოს, მაგრამ მეც შემიძლია ამ ჩემი შემხსენებლისთვის იმის შეხსენება, რომ ქართველები ჯერ იყო და ილია ჭავჭავაძის მათრახის შხუილივით მწარე და დავით კლდიაშვილის ცრემლნარევ სიცილსა და სიცილნარევ ცრემლზე აღვიზარდეთ, ხოლო მერე უკვე ნოდარ დუმბაძის ძალიან ბევრ უჩინო რამეზე თვალების ამხელელი სიცილი წამოგვეწია და წამოგვეშველა...

ქართლოს კასრაძის კბენანარევი სიცილი, ქართული ხუმარსიტყვის შვილობილი, ზემოხსენებული დიდებული სამეულის დიახაც ქართულ სიცილზეა აღმოცენებული. მან სცენაზე, ესტრადაზე აიტანა ეს სიცილი, რომელიც თითქმის მთელი ოცდაათი-ორმოცდაათი წელიწადი ისმოდა, აგრეთვე, რადიოთი, ტელევიზიით და ერთნაირად მხიარულ ხასიათზე აყენებდა ახალგაზრდასაც და ძველგაზრდასაც! თანაც არა მარტო მხიარულ ხასიათზე, არამედ რაღაც უკეთურობასთან ბრძოლის ხასიათზეც.

რაიკინისგან ის იმითაც განსხვავდებოდა, რომ არცარა ტიპის ნიღაბს არ იყენებდა და მუდამ ქართლოს კასრაძედ რჩებოდა, ოღონდ თავისი საკუთარი სახით არაერთ სხვა ტიპად გარდასახული... და კიდევ იმით, რომ თავის ტექსტებს ქართლოსი თვითონ წერდა. ის ცოცხალი მყისიერი იუმორის უბადლო ნიჭით დაჯილდოებული ჭეშმარიტი იუმორისტი იყო.

დღესაც ყურში ჩამესმის, უფრო სწორად, დღესაც „ვჭამთ იმ უტომატო ტომატს“, ქართლოსის სხარტ ბაგეთაგან გადმოსული მთელ საქართველოს პირზე რომ ეკერა. დღესაც თვალწინ მიდგას ქართლოსის ხუმარსიტყვით ახარხარებული ჩვენი ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი. თუმცა მარტო ეს დარბაზი რა მოსატანია, როცა თვით მთელი საქართველო ჰგავდა ქართლოსისგან ახარხარებულ ერთ დიდ საოცარ დარბაზს.

ქართლოსი, როგორც თვითონ ყვებოდა, ქუდბედიანი დაბადებულა. მერე ის ქუდბედი დეიდამისს (ეკატერინე გაბაშვილის ღვიძლ დას) გორში წაუღია და, ძველი რწმენის თანახმად, ჯუღაშვილების ქოხის გვერდით ჩაუმარხავს, რათა დისშვილი დიდი კაცი გამოსვლოდა. დიდი კაცი ვერ გამოვედი, მაგრამ სოსელოზე დიდი რომანი ხომ დავწერეო, ხუმრობდა ხოლმე ქართლოსი (ისე, სხვათა შორის, „სოსელოს“ გარდა, ქართლოსმა კიდევ რამდენიმე დიდი რომანი დაწერა – „ფარნავაზი“, „ლონგინოზის შუბი“, თუნდაც სუხიშვილებზე დაწერილი მართლაც სქელტანიანი, დიდი წიგნი გავიხსენოთ).

მახსოვს, ღირსების ორდენი რომ მიიღო, პალტოს ლაცკანზე (გადანაკეცზე) ეკეთა და მკერდგამოწეული დადიოდა. აი, შევარდნაძემ თავისი ხელით მიმაბნიაო, გზიდან ჩამომეცალეთ, არ გაგიტანოთო. ისე, ჩვენში დარჩეს, და ეს ორდენი თვითონ შევარდნაძეს უფრო ეკუთვნოდა, რადგან ჩემზე ბევრად უფრო ოხუნჯიაო. მეტი რა ოხუნჯობა გინდათ, მთელი საქართველო ამორდენიანიაო...

ქართლოსი „თავისას“ მაშინაც არ იშლიდა, როცა თავისი ცნობილი მამის, მწერალ დავით კასრაძის ცხედართან იდგა... მამაჩემი, ვიცი, არ დამაობლებდა, მაგრამ სულ ამ მამაძაღლი სიკვდილის ბრალიაო. ზოგიერთი კომისარიატისა არ იყოს, მაგასაც არ უყვარს ჭკვიანი მეტოქეები და სუყველა თავისთან მიჰყავსო... ისე, არ მეგონა, თუ დათიკო ასე ადვილად გაჰყვებოდაო... დამწუხრებული, სრულიად სერიოზულად შეგოგვჩიოდა მისამძიმრებისას. მასხრად აგდებული სიკვდილის წიაღ „ზევით“ მაინც თავისებურად კბენდა.

შინ არა, იქ როგორ შეიძლებოდა, გაცინება კი არა, გაღიმებისგანაც ძლივს შევიკავეთ თავი, მაგრამ გარეთ გამოვედით თუ არა, ერთი კი მივიხედ-მოვიხედეთ და ჩვენდა უნებურად, როგორც ძველად იტყოდნენ, „მცირედ ხმიანად და მდაბლად“ გაგვეცინა სამძიმარზე მისულ რედაქციის თანამშრომლებს...

ქართლოს კასრაძე, ნამდვილად თავისი დროის ღირსეული შვილი, ღვაწლიანი მეოცესაუკუნელია, ვინც ყველასგან განსხვავებულ თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერს, როცა მიუკერძოებელი „ქართული სიცილის ისტორია“ დაიწერება.

არ გაგეცინოთ, ვიცი, ნამდვილად დაიწერება, რადგან, აბა, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ჩვენი უბარაქო წუთისოფელი უსიცილოდ!..

ამიტომ ქართლოს კასრაძე ისტორიის გარეთ ვერ დარჩება... მით უმეტეს, სიცილის ისტორიის გარეთ.

გურამ გოგიაშვილი

◎ მეცნიერება

მეოთხე აღნიშვნა, დიდი იმედის თანმხლები

ეს საზეიმო შეკრება, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოებამ გამართეს, მეცნიერების წლევანდელ დღეს მიეძღვნა და აკადემიის სხდომათა დარბაზში შედგა.

თარიღი 2001 წელს დააწესა იუნესკომ, როგორც მეცნიერების

მსოფლიო დღე და ყოველწლიურად ნოემბერში აღინიშნება საერთაშორისო მასშტაბითა და ცვალებადი თემატურობით. წლეულს თემად შემოთავაზებული იყო „მეცნიერება მდგრადობისათვის“.

ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების მსოფლიო დღე 2005 წლიდან აღინიშნება, ხოლო აკადემია და საზოგადოება ზეიმობას ერთობლივად აწყობენ მეოთხედ, 2009 წლიდან მოყოლებული.

წლევანდელი საზეიმო სხდომაც აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ გახსნა და როგორც საგულისხმო ფაქტი, აღნიშნა, რომ შეკრებას პირველად ესწრება განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ამ სფეროს ახალი ხელმძღვანელი გიორგი მარგველაშვილი.

ნაჩვენები იყო დოკუმენტური 25-წუთიანი ფილმი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია – 70“ (მკითხველს შევახსენებთ, რომ აკადემია 1941 წელს დაფუძნდა, დიდი სამამულო ომის დაწყების წინ).

„ნადირობა ჰიგსის ბოზონზე“ – ასეთი ორიგინალურსათაურიანი ერთობ საინტერესო მოხსენებით გამოვიდა აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე, რომელიც წლევანდელ იმ აღმოჩენას შეეხო ელემენტარულ ნაწილაკთა თეორიაში, ასეთი საერთაშორისო რეზონანსი რომ მოჰყვა. აგრეთვე, საგულისყურო გამოდგა ბატონ ჯუმბერის მომზადებული ეკრანიზებული საუბარი უცხოეთში წარმატებით მოღვაწე ახალგაზრდა ქართველ მკვლევართა შესახებ მეცნიერების სულ სხვადასხვა სფეროში; თუ არ ვცდებით, ჩვენს აკადემიურ ცხოვრებაში ეს პირველი შემთხვევაა ამ საგანზე ასეთი „კოლაჟისა“...

მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა რაფიელ ჩიქოვანმა თავის გამოსვლაში წამოაყენა საზოგადოების წინადადებები ქვეყანაში მეცნიერებისა და ტექნოლგიების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ. ასეთ თემაზე მსჯელობისას უკეთეს აუდიტორიას კაცი ვერც ინატრებს, მით უფრო ამჟამინდელ ახალ ვითარებაში, როცა ქართული მეცნიერების გადარჩენისა და განვითარების დიდი იმედი გაჩნდა...

ბატონმა რაფიელმა დამსწრეთ შესთავაზა პრიორიტეტულ მიმართულებებად მიკროტექნიკისა და ნანოტექნოლოგიების აღიარება და არჩევანს დეტალური განმარტება მისცა, თანაც განსაკუთრებით მიკროელექტრონიკის სარგებლიანობას გაუსვა ხაზი ქვეყნის სამეცნიერო, ტექნიკური თუ ეკონომიკური განვითარებისათვის.

აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ 2012 წელს წარმოდგენილი ნაშრომებისათვის გამოჩენილ სწავლულთა სახელობითი აკადემიური პრემიები გადასცა ქართველ მკვლევართა ჯგუფს (წლევანდელი ლაურეატების შესახებ ჩვენი გაზეთი 14 ნოემბრის ნომერში იუწყებოდა).

საზოგადოების მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ ცნობილ ფიზიკოსს, პროფესორ ჯემალ ხუბუას საზოგადოების მედალი და პრემია გადასცა პროფესორმა რაფიელ ჩიქოვანმა. აქვე სათქმელად, მოგვიანებით ბატონმა ჯემალმა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე ვრცლად, ეკრანზე დემონსტრირებით ილაპარაკა იმავე ჰიგსის ნაწილაკზე („ღმერთის ნაწილაკი“ რომ შეარქვეს) და დუბნასა თუ ჟენევაში, ცერნში წარმოებულ ექსპერიმენტებში ქართველ ფიზიკოსთა თვალსაჩინო წვლილის თაობაზე.

თამაზ ეგანოიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

აშშ საქართველოს პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრებების შეწყვეტას სთხოვს

იმით შეწუხებულებმა, რომ საქართველოს მწვავე პოლიტიკური გარდამავალი პერიოდი შეიძლება პოლიტიკური რეპრესიების ტალღაში გადაიზარდოს, ამერიკელმა ჩინოვნიკებმა მოუწოდეს ახალ პრემიერ-მინისტრს, შეწყვიტოს იმ ჩინოვნიკების დაპატიმრება, რომლებიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მუშაობდნენ, განაცხადეს რა, რომ პოლიტიკურად მოტივირებულმა დევნამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს ნატოში გაწევრების შანსებს.

მაგრამ, თბილისის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ შაბათ-კვირას შინაგან საქმეთა სამინისტროს 12 ჩინოვნიკი სასამართლო პროცესამდე პატიმრობაში დარჩება. ჩინოვნიკებს ბრალი ედებათ იმაში, რომ ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციისთვის, რომლის პარტიამაც დაამარცხა სააკაშვილის პარტია გასული თვის პარლამენტის არჩევნებში, ისინი უკანონო მიყურადებას აწარმოებდნენ საუბრების ჩაწერის მიზნით.

დღეს კონკურენტი პარტიის კანონმდებლებმა უნდა გაიზიარონ ძალაუფლება პარლამენტში, მაგრამ ახალმა პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის პრიორიტეტად გაიხდიდა იმ ჩინოვნიკების საქმიანობის გამოძიებას, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში მუშაობდნენ. სააკაშვილს ვადა მომავალ წელს ეწურება.

სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპულ და ევრაზიულ საკითხებში ფილიპ გორდონი ბ-ნ ივანიშვილს პარასკევს შეხვდა და განაცხადა, რომ ხელისუფლების გადაცემა საქართველოში აღქმული იყო, როგორც „გარკვეული თვალსაზრისით მოდელი რეგიონისთვის". მაგრამ ბ-ნმა გორდონმა გააფრთხილა მთავრობა, რომ იმ ჩინოვნიკების დევნა, რომლებიც სააკაშვილთან მუშაობდნენ, შესაძლოა პოლიტიკურ ანგარიშსწორებად იყოს აღქმული.

„არავის არ უნდა დაინახოს, ან შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური მტრების მიმართ ანგარიშსწორებაა და არა კანონის უზენაესობა", განაცხადა ბ-ნმა გორდონმა.

„ვფიქრობ, ნატოს წევრები ძალიან ყურადღებით აკვირდებიან როგორ განვითარდება ეს მოვლენები", თქვა მან და დასძინა, რომ ისინი განსაზღვრავენ „იქნება თუ არა წინსვლა პროცესში ნატოსთან დაკავშირებით". ორივე, ბ-ნი სააკაშვილიც და ბ-ნი ივანიშვილიც, რომ საქართველოს ალიანსში წევრობისკენ გაუძღვებიან.

ბ-ნი ივანიშვილის წამყვანმა მრჩეველმა თედო ჯაფარიძემ განაცხადა, რომ როგორც ჩანს შეერთებულ შტატებს სურს სააკაშვილის და მისი მოკავშირეების დაცვა სამართლებრივი დევნისგან.

სიტუაცია გამწვავდა პატიმრობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ სასამართლო მოსმენაზე, სადაც თბილისის მერმა, ბ-ნი სააკაშვილის ახლო მოკავშირემ, განაცხადა, რომ სამართლებრივი დევნა საქართველოსთვის შეიძლება პოლიტიკური რეგრესით დასრულდეს.

სასამართლომ განაცხადა, რომ დაკავებულები უნდა დარჩნენ პატიმრობაში, რადგან არსებობს იმის რისკი, რომ მათ შეიძლება დააშინონ მოწმეები ან გაანადგურონ მტკიცებულებები.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაახლოებით 15 მოქმედი და ყოფილი ჩინოვნიკია დაკავებული.

The New York Times

საქართველოში პარლამენტის არჩევნებში ოპოზიციურმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ", რომელსაც სათავეში ახალი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უდგას, მმართველი პარტია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დაამარცხა. ამ არჩევნებს სხვადასხვანაირად აფასებენ: ქართული დემოკრატიის სიმტკიცის დასტურად; საქართველოს რუსეთისკენ შემობრუნებად; გამარჯვებად, რომელიც ივანიშვილმა შეერთებულ შტატებში, ევროპასა და საქართველოში უხვად დახარჯული ფულით იყიდა; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ბატონობის დასასრულად და ა.შ. ჯერ კიდევ ძალიან ადრეა საიმისოდ, რომ ამ არჩევნების არსი ამოვიცნოთ, მაგრამ რამდენიმე მოსაზრების გამოთქმა და რამდენიმე კითხვის დასმა, უკვე შესაძლებელია.

ოთხი მოსაზრება

ამ არჩევნებმა საქართველო დემოკრატიულ ქვეყნად არ აქცია. სააკაშვილის მხარდამჭერები საქართველოშიც და უცხოეთშიც ამტკიცებენ, რომ რადგან სააკაშვილის ინიციატივით ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა შედგა, საქართველო ნამდვილი დემოკრატიის ქვეყნად გარდაიქმნა. სააკაშვილის ოპონენტები იმავე დასკვნამდე მიდიან და ამტკიცებენ, რომ სააკაშვილის მთავრობის მარცხმა საქართველო დემოკრატიულ ქვეყნად აქცია. ორივე ამ მოსაზრებაში არის გარკვეული სიმართლე. იმით, რომ მთავრობაზე კონტროლი გადასცა, სააკაშვილმა ხელი შეუწყო ქვეყნის დემოკრატიზაციას, ხოლო იმით, რომ „ქართულმა ოცნებამ" დაამარცხა „ნაციონალური მოძრაობის" ერთპარტიული დომინირება, მან საქართველო მეტად დემოკრატიული გახადა. მიუხედავად ამისა, საქართველოს, დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებამდე, ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობით, ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი.

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" პოზიციები იოლად არ დაუთმია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სააკაშვილმა დამარცხება აღიარა მას შემდეგ, რაც თითქმის მთელი წელი, საარჩევნო კამპანიისას, სდევნიდა ოპოზიციას, აპატიმრებდა ოპოზიციის აქტივისტებს, ზღუდავდა მედიის ხელმისაწვდომობას და იმდენად შორს წავიდა, რომ თავის მთავარ ოპონენტს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვა. იმის გამო, რომ ვერ დავადგენთ, რატომ არ მოიპარა უბრალოდ სააკაშვილმა არჩევნები, ვითარება ასე აიხსნება — გადამწყვეტი ფაქტორის როლი შეასრულა იმან, რომ არჩევნებს აკვირდებოდა საერთაშორისო მეთვალყურეთა დიდი რაოდენობა და საკვანძო მომენტში საგარეო ზემოქმედებაც მნიშვნელოვანი იყო. არ უნდა ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილმა დამარცხება ფუძემდებლური დემოკრატიული იმპულსის გამო აღიარა.

პოლიტიკა საქართველოში ისევ ნულოვანი შედეგის მომტანი თამაშია: მას შემდეგ, რაც არჩევნებში სასტიკად დამარცხდა, სააკაშვილს აღარ უცდია, პრეტენზია განეცხადებინა სრულ კონსტიტუციურ და სამართლებრივ ძალაუფლებაზე. ამის მაგივრად მან ყველა სამინისტრო და საერთოდ მთელი მთავრობა „ქართულ ოცნებას" გადასცა, რაც მისთვის დამახასიათებელი არაა.

ფულმა მნიშვნელოვანი, მაგრამ რთული როლი შეასრულოს: ივანიშვილის ფული ვერ შეაძლებინებდა მას არჩევნების მოპარვას. ფულმა მას „ნაციონალურ მოძრაობასთან" კონკურირების საშუალება მისცა, პარტიასთან, რომელსაც შეეძლო სამთავრობო სახსრები საკუთარი პარტიული ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა. მაგალითისთვის, ივანიშვილმა მილიონობით დოლარი დახარჯა საკუთარი ქონებიდან ევროპასა და

ოთხი მოსაზრება და ოთხი კითხვა საქართველოში არჩევნებთან დაკავშირებით

შეერთებულ შტატებში ლობისტური აქტივობისთვის. მაგრამ ქართულ მთავრობას უკვე წლებია ასეთივე ურთიერთობები ჰქონდა უცხოელ ლობისტებთან, რაც ქვეყნისთვისაც იყო სასარგებლო და მმართველი პოლიტიკური პარტიისთვისაც.

ოთხი კითხვა

რას აკეთებს დღეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"? „ნაციონალური მოძრაობა" ახლა ოპოზიციურ პარტიად იქცა, მაგრამ რას ნიშნავს ეს, ცხადი არ არის. შესაძლოა, „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებმა მხარდაჭერის მოპოვება ნეოლიბერალურ იდეოლოგიაზე დაყრდნობით დაიწყონ. ეს საქართველოში მრავალპარტიული სისტემის შექმნაში შეიტანდა წვლილს. შეიძლება „ნაციონალური მოძრაობა" სხვადასხვა ძალით დაკომპლექტებულ პარტიად გადაიქცეს, ისეთად, რომელშიც „ქართული ოცნებით" უკმაყოფილო ჯგუფები და ადამიანები გაერთიანდებიან. დაბოლოს, არსებობს კიდევ ერთი, რეალური შესაძლებლობა — „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ", რომელიც უკვე აღარ არის ხელისუფლებაში, გაქრობა იწყოს.

რა არის საჭირო იმისთვის, რომ საქართველოში მრავალპარტიული დემოკრატია შეიქმნას? მთავარი პრობლემა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ" უნდა გადაჭრას, შემდეგშია — მან უნდა გადალახოს დამოუკიდებლობის შემდეგ შექმნილი სტანდარტი, რომლის მიხედვითაც საქართველოში პოლიტიკა ერთი პარტიის გარშემო ტრიალებს. საქართველოს პოლიტიკური კულტურა ისევ საჭიროებს რადიკალურ ცვლილებას ისე, რომ არსებობდეს სივრცე არსებითი დებატებისთვის შეთანხმებული სტრუქტურის ფარგლებში. მრავალპარტიული სისტემის შექმნაზე პასუხისმგებლობის დიდი წილი „ქართულ ოცნებას" დაეკისრება. საქართველოში ერთპარტიული სისტემაა დამკვიდრებული და „ქართული ოცნება" მზადაა, ისარგებლოს ამ ვითარებით. ამიტომ სწორედ მათზეა დამოკიდებული ახალი პოლიტიკური ინტონაციის დანერგვა საქართველოში, შესაძლოა იმის აღიარებაც, რომ მრავალპარტიული მმართველი კოალიცია, ისეთი, როგორიცაა ამჟამად „ქართული ოცნება", არ არის საუკეთესო ქართული დემოკრატიისათვის. „ქართული ოცნება" ახლა დიდი კოალიციაა: ასეთი სტრუქტურა იყო საჭირო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დასამარცხებლად, მაგრამ ქართული დემოკრატიისთვის უკეთესი იქნება, თუ მომავალ რამდენიმე თვეში ან წელიწადში ეს კოალიცია შემადგენელ ნაწილებად დაიშლება.

არჩევნები ასეთი შედეგით დასრულდა დასავლეთის დახმარების წყალობით, თუ მიუხედავად ამ დახმარებისა? პასუხი ცხადი არ არის. დასავლური დაფინანსება ნამდვილად დაეხმარა სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას იმაში, რომ განემტკიცებინათ მოქალაქეთა ინფორმირებულობა კორუფციის, შესაძლო საარჩევნო გაყალბებისა და სააკაშვილის ადმინისტრაციის ხრიკების შესახებ. ამავე დროს, არსებობდა შთაბეჭდილება, რომ დასავლეთის ბევრი მთავრობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში დარჩენას ელოდა.

როგორია „ვარდების რევოლუციის" რეალური მემკვიდრეობა? დასავლეთში ზოგიერთს მიაჩნია, რომ „ვარდების რევოლუციას" სათავეში ედგნენ დასავლეთზე ორიენტირებული რეფორმატორები, რომლებიც ცდილობდნენ, საქართველო თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნად ექციათ. სხვები ფიქრობენ, რომ რევოლუციამ მიზანს ვერ მიაღწია და საქართველოს ისევ მართავდა დახურული მთავრობა — ძალაუფლებას ძირითადად ადამიანთა მცირე ჯგუფი აკონტროლებდა, რომელთაც, როგორც კი ხელისუფლება მოიპოვეს, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ნორმების გათელვის მზაობა გამოავლინეს. ორივე ეს ხედვა შეიცავს სიმართლის ელემენტებს, თუმცა „ვარდების რევოლუციის" რეალური და კომპლექსური მემკვიდრეობა უფრო ცხადი დროთა განმავლობაში გახდება.

EURASIANET.ORG

დედამიწის ზურგზე

საფრანგეთის ხელისუფლება ხურავს მთას, რომელზეც უცხოპლანეტელები გადაარჩენენ ხალხს 31 დეკემბრის სამყაროს დასასრულისგან

ადმინისტრაციამ სოფელ ბიუგარაშისა, რომელიც განთავსებულია პირენეის მისადგომებში ამავე სახელწოდებით ერთ-ერთ 1200-მეტრიან პიკზე, გასცა განკარგულება აიკრძალოს იმ მთაზე ასვლა, რომელსაც ექსტრასენსებმა გაუთქვეს სახელი, როგორც ერთადერთ ადგილს დედამიწაზე, სადაც შეიძლება გადარჩე აპოკალიფსის დროს. ფანატიკოსების შემოსევისგან ადგილობრივი მოსახლეობის დასაცავად ასობით პოლიციელის გამოყენებას აპირებენ.

* * *

გაეროში ერთმანეთთან კონფლიქტს აწარმოებენ რუსეთი და აშშ პალესტინა-ისრაელის სროლების გამო. „ღრუბლის გოდოლის" მეშვიდე დღე

გაეროს უშიშროების საბჭოს საერთო განცხადებაზე მუშაობა შეყოვნდა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის გამო, რომელსაც განზრახული აქვს დაიცვას თავისი ერთგული მომხრე ახლო აღმოსავლეთში ისრაელის სახით. გაეროს დიპლომატები იტყობინებოდნენ ანონიმურობის პირობებით, რომ ამერიკის დელეგაციამ ვაშინგტონიდან მიიღო პირდაპირი მითითება თავი აარიდოს კონსულტაციებს განცხადების ტექსტთან დაკავშირებით.

* * *

გერმანიამ ხელი შეუშალა, რუსეთს მიაწოდოს სუდანს სამხედრო ტვირთი სპორტულის სახით

სპორტული ტვირთი დააპატიმრეს ფრანკფურტის აეროპორტში და ეს, ეტყობა, იყო გადამტანის შეცდომა — მას ურჩევდნენ ტვირთი გადაეტანა დუბაის გავლით. სასამართლო კი ყველაფერში ბრალს სდებს მწარმოებელს, რომელმაც არასწორად შეავსო ქაღალდები. მწარმოებელი, რომელიც ახლა ზარალს განიცდის, შეეცადა სასამართლოს მეშვეობით აეძულებინათ მეტრანსპორტირე მიეტანა ვაზნები 50 ათას ევროდ „გონივრულ ვადებში", მაგრამ უარი მიიღო.

* * *

სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი ხუმრობის ობიექტი გახდა, როდესაც მან სანაპიროზე საფულე იპოვა

„მე ფეხი წამოვკარი საფულეს, რომელიც სავსე იყო ფულითა და საკრედიტო ბარათებით დუნაის სანაპიროზე სირბილის დროს. პატრონს შეუძლია წაიღოს საფულე მთავრობის მისაღებში", — განაცხადა პრემიერმა დედაქალაქ ბრატისლავაში პრესკონფერენციის დროს. ეს ინტერნეტში უმალვე პოპულარული თემა გახდა ხუმრობისთვის ქვეყნის სიღარიბის გამო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უკანონოდ დაკანონებული ნაციონალების ყულაბა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის „გადაცდომები“

ვისი დაკვეთით მოქმედებდა ჩიქოვანი და ვის ჯიბეში მიდიოდა მილიონები

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში საკომუნიკაციო ბიზნესი (ინტერნეტი, ფიჭური და ფიქსირებული კავშირგაბმულობა) კონტროლის მძლავრ იარაღად ჩამოყალიბდა და საქართველო, ფაქტობრივად, ტოტალური მოსმენების ქვეყნად იქცა. თუმცა, გარდა მასობრივი კონტროლისა, ცალკეული მაღალჩინოსნები მახინჯი რეგულაციებით და უკანონო გადაწყვეტილებებით საკმაოდ დიდ შემოსავლებს ნახულობდნენ. ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიები, რომლებიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებები, რომლებიც კონკრეტულ კომპანიას უპირატეს მდგომარეობაში არასამართლიანად აყენებდა — ეს ის მექანიზმებია, რომლითაც წინა ხელისუფლება თითოეული მოქალაქის ჯიბიდან ჯამში მილიონობით ლარს იპარავდა და სფეროს განვითარებას შეგნებულად უშლიდა ხელს.

ჩიქოვანის ურთიერთჩართვა და რუსეთში წასული ქართველების ფული

გადაწყვეტილებების **იმ კატეგორიიდან, რომლებიც სხვა კომპანიების ხარჯზე ერთი კონკრეტული კომპანიის „ბილაინის“ სასარგებლოდ იყო მიღებული, აღსანიშნავია ურთიერთჩართვის გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა კომუნიკაციების ბაზრის დარეგულირებას უჩვეულო მეთოდებით.**

ვინ დგას „ბილაინის“ უკან? ამ საკითხზე ბევრჯერ დაისვა კითხვა, თუმცა დღემდე პასუხი ოფიციალურად არ გაცემულა. ფაქტია, რომ რუსული კავშირგაბმულობის ლიდერი, რომელსაც რუსეთის უმაღლესი ეშელონების ჩინოვნიკები აკონტროლებენ (სხვანაირად რუსეთში ამხელა ბიზნესს ვერ აწარმოებ), საქართველოში მიხეილ სააკაშვილის პირადი ინიციატივით და ინტერესით შემოვიდა. საჯარო რეესტრში შპს „მობიტელის“ („ბილაინის“ ბრენდის მფლობელი საქართველოში) დამფუძნებლად 3 ოფშორული კომპანიაა რეგისტრირებული, თუმცა, საქართველოს პრეზიდენტის უახლოესი თანამებრძოლისა და ყოფილი მეგობრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, „ბილაინი“ პრეზიდენტ სააკაშვილის ბიზნესია და მას ძმებ შარანგიებთან და ყარამანაშვილებთან ერთად „ბილაინის“ საკონტროლო პაკეტი ეკუთვნის.

ბილაინის ბაზარზე შემოსვლის პირველ პერიოდში მის მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულება ზუსტად იგივე იყო, როგორც სხვა მობილური ოპერატორების მიმართ. სიტუაცია შეიცვალა, როდესაც კომუნიკაციების კომისიის თავმჯდომარედ ირაკლი ჩიქოვანი დაინიშნა. 2010 წლის 21 მაისს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც „მაგთისა“ და „ჯეოსელისთვის“ ბილაინის ქსელში ჩართვის ტარიფი უნდა ყოფილიყო 14.8 თეთრი, ხოლო „ბილაინს“ კი იგივე ოპერაციაში 8 თეთრი უნდა გადაეხადა, ანუ 6.8 თეთრით მეტი ყოველ წუთზე! დადგენილება ამოქმედდა 2010 წლის 1 აგვისტოს.

ირაკლი ჩიქოვანის და კომისიის ამ გადაწყვეტილებით, ბაზრის ერთი ოპერატორი ხელის ერთი მოსმით ჩამოყალიბდა სხვა დანარჩენებისგან სუბსიდირების ობიექტად და საქართველო გახდა ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ოპერატორებს შორის ურთიერთჩართვის ტარიფის განსხვავებამ 45%-ზე მეტი შეადგინა. არადა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ბაზარზე არსებული ყველა სუბიექტისთვის ურთიერთჩართვის ტარიფი ერთი და იგივეა, ან განსხვავება უმნიშვნელოა.

არის თუ არა ეს „ბილაინის“ ინტერესების ლობირება? გვაქვს თუ არა საქმე კონკრეტული კომპანიის უპირატეს მდგომარეობაში არასამართლიან ჩაყენებასთან საქმე? ხდება თუ არა „ბილაინის“ ფაქტობრივი სუბსიდირება? ამ კითხვებზე კომუნიკაციების სფეროს ექსპერტი და კომისიის ეკონომიკური სამსახურის ყოფილი უფროსი გელა ბუთბაია შემდეგ კომენტარს აკეთებს:

„ურთიერთჩართვის ტარიფით ოპერატორი სარგებელს არ უნდა ნახულობდეს, არ უნდა იყოს ნორმაზე მეტი. საქართველოში არის არათანაბარი დამოკიდებულება კომისიის მხრიდან ოპერატორების მიმართ და ბილაინი არასამართლიანად არის ჩაყენებული უპირატეს მდგომარეობაში.“

კომუნიკაციების კომისიის უკანონო გადაწყვეტილებათა ციკლი ამით არ შეწყვეტილა. ერთი წლის შემდეგ, 2011 წლის მაისში, როდესაც „ბილაინის“ საბაზრო წილმა მისთვის კანონით განსაზღვრული გარკვეული შეღავათების ზღვარს გადააცილა, კომისიამ თითქოს ვერ შეამჩნია, ვერ დათვალა „ბილაინის“ აბონენტები და არ აღიარა იგი ბაზარზე მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანიად. ამის შედეგად, ირაკლი ჩიქოვანის უწყებამ არ გადახედა სატარიფო პოლიტიკას და ურთიერთჩართვის ტარიფი არ შეცვალა. **უფრო მეტიც, კომუნიკაციების კომისიამ ტარიფების გადახედვის შესახებ დადგენილება მხოლოდ 2011 წლის ნოემბერში მიიღო და ახალი ტარიფების ამოქმედება 2012 წლის თებერვლისთვის გადადო. წელიწადნახევრის განმავლობაში „ჯეოსელი“ და „მაგთი“ აგრძელებდნენ „ბილაინის“ სუბსიდირებას და დაფინანსებას. ვინმე დაიჯერებს, რომ ეს ფაქტი კომუნიკაციების კომისიის მხრიდან მიხეილ სააკაშვილის ბიზნესთან კორუფციული გარიგების შედეგი არ არის?**

დღესაც კი, როდესაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ირაკლი ჩიქოვანის უკანონო გადაწყვეტილების მიხედვით, ურთიერთჩართვის ტარიფი ისევ არათანაბარი და ასიმეტრიული რჩება. „ჯეოსელი“ და „მაგთი“ რუსულ კომპანია „ბილაინს“ წუთში 11 თეთრს უხდიან, ხოლო „ბილაინი“ მათ მხოლოდ 8 თეთრს.

გივი თარგამაძის პორტირება და ოფშორული აგენტები

კომუნიკაციის **კომისიის უკანონო გადაწყვეტილებების გაგრძელება პორტაბელობის სისტემის შემოღებას, ანუ ნომრის შეუცვლელად ოპერატორის შეცვლის სისტემის შემოღებასა და ე.წ. პორტირების გადასახადის შემოტანას მოჰყვა. აღნიშნული მექანიზმი საქართველოში 2011 წლის აპრილიდან დაინერგა და მის განხორციელებაზე ექსკლუზიური უფლების მოპოვებისთვის კომუნიკაციების კომისიამ ტენდერი გამოაცხადა.**

ტენდერში მონაწილეობის სურვილი, ალბათ, მრავალ ფირმას ექნებდა, რომ არა ერთი „მცირე“ ნიუანსი. **ტენდერის პირობებში მსოფლიოს განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებით, პორტირების გადასახადი ოპერატორებს უწესდებოდათ არა დაპორტირებული ნომრების მიხედვით, არამედ მათზე გაცემული ყველა ნომრის მიხედვით, იმის მიუხედავად, ეს ნომერი აქტიური იყო თუ არა!**

ტენდერში მონაწილე ყველა კომპანიამ წინადადებაში პორტირების გადასახადის შემოტანაზე აღნიშნა, რომ გადასახადი მხოლოდ პორტირებულ ნომრებზე გავრცელდებოდა. ერთადერთი იყო ლიტვური კომპანია, რომელმაც თავის წინადადებაში გადასახადი ყველა გაცემულ (გამოყენებულია ის თუ არა) ნომერზე დააფიქსირა. ხოლო გამარჯვებულად გამოცხადდა კომპანია „მედიაპრო ჯორჯია“, რომელიც წელიწადში იღებს 7 მილიონს. მაშინ როცა, ერთ-ერთი თურქული კომპანია მომსახურებაში ითხოვდა მხოლოდ 660 ათას ევროს (საქართველოს კომუნიკაციებს ეროვნული კომისიის გადაწყვეტილება 3412/10-3 სექტემბერი — 2010 წ.).

კომპანია „მედიაპრო ჯორჯიას“ დამფუძნებელია ლიტვაში ბაზირებული ოფშორული კომპანია. სწორედ აღნიშნული კომპანიის უკან მოიაზრებიან კომუნიკაციის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი და პარლამენტარი და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი სახე გივი თარგამაძე.

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე აცხადებს, რომ „მედიაპრო ჯორჯია“ სახელმწიფოს მხრიდან კანონდარღვევებით ჩაყენებული იქნა პრივილეგირებულ მდგომარეობაში და „მედიაპრო ჯორჯიას“ სასარგებლოდ ყველა საკომუნიკაციო კომპანიასთან იძულების წესით გაფორმდა 10-წლიანი ხელშეკრულება“.

ნოდარ ჭიჭინაძე იხსენებს ამ კომპანიის წარსულ მოღვაწეობასაც: **„ეს ლიტვური კომპანია თვეების განმავლობაში ატყუებდა ქართველ მაყურებელს და ატარებდა სატელევიზიო კონკურსებს, რომელშიც მაყურებელს ერთ ზარში 2 ლარს ახდევინებდა. კონკურსის დროს დაისმებოდა უმარტივესი კითხვა, ცხადდებოდა პრიზი და ყოველ შემოსულ ზარზე აბონენტებს უწევდათ მაქინატორების მიერ დაწესებული ბეგარის გადახდა. იმ პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა ბევრი შემთხვევა, როდესაც აბონენტებს უსამართლოდ ჩამოაჭრეს თანხები. უკმაყოფილო მაყურებლების რიცხვის ზრდის გამო, ტელეკომპანია „იმედმა“ გაწყვიტა კონტრაქტი და უარი თქვა ამ კომპანიასთან თანამშრომლობაზე“.**

მიუხედავად ამისა, ტენდერში გამარჯვება საეჭვო რეპუტაციის კომპანიას მიაკუთვნეს. „მედიაპრო ჯორჯია“ ოფიციალურად რეგისტრირებული ყველა აბონენტიდან, ყველა ნომრიდან, რომელიც გაცემულია მობილური ოპერატორებისათვის, მიუხედავად იმისა, ნომერი სარგებლობაშია თუ არა, წელიწადში 38 ევრო ცენტს იღებს დღგ-ს გარეშე. 2012 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, საქართველოში მობილური და ფიქსირებული ქსელის 7 მილიონზე მეტი აბონენტია რეგისტრირებული, ანუ „მედიაპრო ჯორჯია“ წელიწადში დაახლოებით 7 მილიონ ლარს იღებს, მაშინ, როცა მისი ხარჯების მაქსიმალური მოცულობა არ შეიძლება სცდებოდეს რამდენიმე ათასლარიან ნიშნულს.

ერთი საკითხია, რამდენად სამართლიანად მოიგო ტენდერი „მედიაპრო ჯორჯიამ“ და რა ხელშეწყობა მიიღო მან სახელმწიფოსგან. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელია იმ კანონდარღვევათა ნუსხა, რომლითაც პორტაბელურობის მექანიზმის შემოღება და განხორციელება ხდება საქართველოში.

ამ საქმეში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. დარღვეულია კანონები, ადგილი აქვს თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბებას და ა.შ. კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი ფრიდონ ინჯია მიიჩნევს, რომ პორტაბელურობის მექანიზმის ამოქმედებით, ნაციონალურმა მოძრაობამ მოსმენების ტოტალური მექანიზმი შემოიღო და აქცია ის სადამსჯელო ინსტრუმენტად განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების საწინააღმდეგოდ. ამას გარდა, დარღვეულია კანონი, რომლის მიხედვითაც საქართველოში მოღვაწე ყველა საკომუნიკაციო კომპანია ინტეგრირებული უნდა იყოს. მონაცემთა ბაზა ამჟამად იმყოფება ლიტვაში და ყველა ინფორმაცია განხორციელებული ზარების შესახებ სხვა ქვეყანაში იყრის თავს.

ვის ხელში ხვდება ეს ინფორმაცია, ვინ და როგორ იყენებს ამ მონაცემებს და ვის საწინააღმდეგოდ შეიძლება იქნას გამოყენებული იგი, ქართული სამართალდამცავი ორგანოების ძიების საკითხი უნდა გახდეს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ ბაზაში ხვდება ინფორმაცია არამხოლოდ საქართველოს მოსახლეობის, არამედ საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების და მთავრობის სატელეფონო საუბრების შესახებ.

კიდევ ერთ კანონდარღვევაზე საუბრობს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე. საუბარია ტენდერის ჩატარებისა და კავშირგაბმულობის შესახებ კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ვადების აცდენაზე. კომუნიკაციების კომისიამ პორტაბელურობის ტენდერი ჩაატარა 2010 წლის სექტემბერში და მხოლოდ 2011 წლის აპრილში მოხდა კანონში ცვლილება, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო პორტაბელურობის მექანიზმის ჩამოყალიბება. „მსგავსი მოქმედება კი არსებული კანონმდებლობით სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება და კომუნიკაციების კომისიას არ ჰქონდა უფლება გამოეცხადებინა და შემდეგ კი ჩაეტარებინა უკანონო ტენდერი. საქართველოს პროკურატურა და კონტროლის პალატა ამაზე თვალს ხუჭავდნენ, ხოლო მაშინდელი „ნაციონალური“ პარლამენტი „ნაციონალური ყულაბის“ შევსების ყველანაირ უკანონო მეთოდს ამართლებდა“, — აცხადებს ნოდარ ჭიჭინაძე.

ნიკა ასლანიძე

ⓘ ინფორმაცია

სამშობლოში დაბრუნებას გიორგობიანიც აპირებს, ოღონდ ნაჩქარევად - არა

სატყეო **დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, გერმანიაში მცხოვრები ბიძინა გიორგობიანი პარლამენტის მიერ პოლიტიკურ დევნილებთან დაკავშირებული დადგენილების მიღებას ელოდება. როგორც გიორგობიანმა განაცხადა, ამის შემდეგ მისი ადვოკატი მთავარ პროკურატურაში საქმის გადახედვას მოითხოვს.**

— მე გამოცდილი პოლიტიკური დევნილი ვარ. მეორედ ვარ პოლიტიკურ დევნილობაში. არ მინდა, დაუფიქრებელი ნაბიჯი გადავდგა და საქართველოს ახლად აჩეული ხელისუფლება დავაყენო ისეთი ფაქტების წინაშე, რომელსაც არ ელოდება. აქედან გამომდინარე, მივყვები სამართლებრივ გზას, რათა დავბრუნდე საქართველოში. მე საქართველოში დაბრუნებას ვაპირებ, თუმცა ირაკლი ოქრუაშვილის მსგავსად ნაჩქარევი ნაბიჯების გადადგმას არ ვაპირებ. სკანდალები და ზედმეტი პიარი ჩემს ინტერესებში არ შედის, — განაცხადა გიორგობიანმა. **მისივე თქმით, სურს, საქართველოში ჩამოყალიბდეს დემოკრატიული სამართლებრივი სტრუქტურები, რისთვისაც უკვე წლებია, თავადაც იბრძვის.**

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ყრილობა

ემოციურ ფონზე

საქართველოს აკადემიური ნიჩბოსნობის და კანოეს (ბაიდარებთან ერთად) ფედერაცია აქამდე ერთ ორგანიზაციას წარმოადგენდა, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოთხოვნით მოხდა ამ საზოგადოებრივი უწყების რეორგანიზაცია და იგი ორ ფედერაციად გაიყო.

აკადემიურმა ნიბჩოსნებმა თავიანთი ყრილობა მცხეთაში ჩაატარეს. იგი საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა. გაწევ-გამოწევაც იყო ახალგაზრდებსა და უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის. მოქმედმა სპორტსმენებმა ფედერაციის მესვეურები ბაზების გაპარტახებაში დაადანაშაულეს და ფედერაციის ახალ პრეზიდენტად ყოფილი ნიჩბოსნის – რომან ვაჩეიშვილის არჩევას მოითხოვდნენ. მეორე კანდიდატი ყოფილი პარლამენტარი ბეჟან ხურციძე გახლდათ. ფარული კენჭისყრით გამართულ არჩევნებში ხურციძემ კონკურენტს ორი ხმით (10:8) აჯობა. ერთი ბიულეტენი ბათილად გამოცხადდა. ამგვარმა გადაწყვეტილებამ ახალგაზრდების ახალი აღელვება გამოიწვია. ისინი კი დაააშოშმინეს, მაგრამ დამარცხებული კანდიდატი და მისი მომხრეები მცხეთაში გამართულ ყრილობას არალეგიტიმურად მიიჩნევენ და სპორტის სამინისტროს ახალი არჩევნების დანიშვნას სთხოვენ.

ყრილობას ესწრებოდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი დავით გობეჯიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოში მთავრობის ცვლილებამ ყველა ადამიანს გაუღვიძა სურვილი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში საკუთარი წვლილი თავისებურად შეიტანოს და, ამდენად, მცხეთურ ინციდენტში

განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს.

რაც შეეხება სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში გამართულ კანოეს ფედერაციის ყრილობას, მან მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით ქაცარავამ თავისი პროგრამა მეტად შთამბეჭდავად წარუდგინა დელეგატებს. ალბათ, ამიტომაც ირწმუნეს მისი და ფედერაციის თავკაცობა 4 წლით ანდეს.

აქვე შევნიშნავთ, რომ ორივე ყრილობაზე მწვავედ იდგა გაპარტახებული ბაზებისა და მწირი სპორტული ინვენტარის საკითხი. ბეჟან ხურციძემ ისიც კი აღნიშნა, რომ საერთაშორისო ფედერაციას ბოლო წლებში მათთვის ექვსი თანამედროვე სტანდარტების ნავი რომ არ ეჩუქებინა, ქართველი სპორტსმენები საერთაშორისო ტურნირებში ვერც იასპარეზებდნენ. როგორც ყრილობის მონაწილეებმა თქვეს, მცხეთაში ოთხი ბაზა გაპარტახდა, ფოთში – ხუთი და ახლა იქ ბავშვები გასახდელებად დაჟანგულ ვაგონს იყენებენ, ელინგებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დუშეთში ბაზალეთის ტბაზე შენარჩუნებულია ბაზა, მაგრამ შენობა-ნაგებობები ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის, ამიტომ მცხეთის მუნიციპალიტეტი მის შეკეთებაზე თავს იკავებს. სამართლიანადაც. ბაზას კი რეაბილიტაცია სჭირდება. ქუთაისში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ კეთილმოწყობა იქაურობასაც არ აწყენდა. ქუთაისის მერიამ კი წლეულს ნიჩბოსნებს შეპირებული 20000 ლარი ვერ გადაურიცხა.

კანოეს ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქაცარავამ გვითხრა, რომ თი-ბი-სი ბანკთან ერთად ლისის ტბაზე იწყებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაზის მშენებლობას, ასევე, სავარჯიშოდ და საშეჯიბროდ მომზადდება სანიჩბოსნო ობიექტი გლდანში „თეთრ ტბაზე“. ერთ-ერთმა კომპანიამ თბილისში უკვე დაამზადა სანიმუშოდ ერთი ნავი, რომელიც ხარისხით ევროპულ ანალოგს ჩამორჩება, მაგრამ ოთხჯერ უფრო იაფი ჯდება. თანაც ეს ნავი ამჟამად საქართველოში არსებული ინვენტარზე ბევრად კომფორტულია და მაღალი შედეგებისთვის წვრთნის საშუალებას იძლევა.

ლექსო ციწცაძე

◎ ჭიდაობა

საფინიშო „ბრინჯაო“



საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში „პრეზიდენტის თასზე“ იჭიდავა. მართალია, ნაკრების შემადგენლობაში საკმაოდ სახელიანი ფალავნები გამოდიოდნენ, მაგრამ მათგან კვარცხლბეკზე ასვლა მხოლოდ ახალგაზრდა მძიმეწონოსანმა – სერგო გოგისვანიძემ შეძლო – მან მხოლოდ ნახევარფინალური შეხვედრა დათმო და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. რევაზ ლაშხი (60), მანუჩარ ცხადაია, ზურაბ დათუნაშვილი (ორივე – 74) და სოსო ჯაბიძე (96) საპრიზო სამეულს მიღმა აღმოჩნდნენ.

ლაშა დიდია

◎ ტყვიის სროლა

ისევ ძველი გვარდია

ოლიმპიური ჩემპიონის – ნინო სალუქვაძის ტირში ორ დღეს გრძელდებოდა სამგზის ევროპის ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის – შოთა ქველიაშვილის მე-6 მემორიალი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად აზერბაიჯანელი და მალაიზიელი ჩუბინები მონაწილეობდნენ. პნევმატური პისტოლეტით გამარჯვებულები და პრიზიორები ორ ასაკში გამოვლინდა.

უფროსებში შესანიშნავად იასპარეზა ნინო სალუქვაძემ, რომელმაც 484,6 ქულით მთავარი პრიზი დაიმსახურა. 478,2 ქულით მეორე ადგილზე ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი და მსოფლიოს სამგზის ვიცე-ჩემპიონი ირადა აშუმოვა (აზერბაიჯანი) გავიდა. მესამე იყო მალაიზიელი დევი დასი იშკარი ჯანავა (466,9). იგი წარმოშობით უკრაინელი გახლავთ, ირინა კოჩეროვა, რომელმაც 1986 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩემპიონი მაშინ გახდა მარინა დობრანჩევა-ლოგვინენკო. ბრინჯაოს მედალი 17 წლის ნინო სალუქვაძეს ერგო.

ვაჟები: 1. რუსლან ლუნიოვი (673,5), 2. რაულ მამედოვი (ორივე – აზერბაიჯანი, 669,9), 3. ბესარიონ სირაძე (654,9).

ახალგაზრდები. გოგონები. 1. მარი მაღრაძე (361), 2. ანა გაგილაძე (ორივე – თბილისი, 359), 3. ლიზი კილაძე (ქუთაისი, 359). **ბიჭები.** 1. გიორგი რამიშვილი (ქუთაისი, 549), 2. ურსულ ახუნდოვი (აზერბაიჯანი, 547), 3: იოანე ჭანკვეტაძე (თბილისი, 545).

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

ჩეხური შემოდგომა

რამდენიმე თვის წინათ ჩეხეთის ქალთა ნაკრებმა კიდევ ერთხელ მოიპოვა ფედერაციის თასი. ხომ გსმენიათ – თხა თხაზე ნაკლებისაო. ჰოდა, 22-წლიანი შესვენების შემდეგ უკვე ამავე ქვეყნის ვაჟთა გუნდის ჯერი დადგა და მანაც ჩინებულად გამოიყენა ბოძებული შანსი.

ასეთ შედეგს რამდენიმე ფაქტორი მოასწავებდა. მათგან უპირველესია მეტოქის – უკანასკნელი წლების დევისის თასის გათამაშების მთავარი ფავორიტის ესპანეთის ნაკრების ტრავმირებული ლიდერის რაფაელ ნადალის არყოფნა.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ისიც, რომ ფინალურ მატჩს პრაღა მასპინძლობდა, სადაც, გულშემატკივართა მხურვალე ქომაგობის გარდა, ჩეხებს შემწედ მათ მიერვე შერჩეული ხელოვნურსაფარიანი, ეგრეთ წოდებული სწრაფი კორტი მოევლინათ.

მოკლედ, დიდ წარმატებას დანატრებულმა ჩეხებმა ზემოთ აღნიშნული და კიდევ სხვა გარემოებებით ფრთაშესხმულებმა ითამაშეს და თანამემამულეებს უსაზღვრო სიხარული მიანიჭეს – 3:2.

შეხვედრის გმირი ვეტერანი რადეკ შტეპანეკი გახდა, რომელმაც ერთეულთა თანრიგის გადამწყვეტი ბრძოლა ნიკოლას ალმაგროს მოუგო.

არადა, სტუმართა იმედმა დავიდ ფერერმა, რომელმაც ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა, თავის მხრივ შტეპანეკსაც სძლია და მსოფლიოს მეექვსე ჩოგანს თომაშ ბერდიხსაც, მაგრამ წყვილთა თანრიგში გრანოლერს – ლოპესის დუეტი უძლური აღმოჩნდა, რაც პირენეელებს ტიტულის დაკარგვად დაუჯდათ.

გიორგი შოთაძე

◎ პირის გემო

არშავინის „ოჯახური სადილები“

ინგლისურმა გაზეთმა „სანმა“ ლონდონში „მაკდონალდსის“ ერთ-ერთი თანამშრომლის ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელმაც, კერძოდ, ჟურნალისტს განუცხადა: – თვალებს არ დავუჯერეთ, როცა ჩვენს რესტორანში რუსეთის ნაკრების ყოფილი და ამჟამად საფეხბურთო კლუბ „არსენალის“ თავდამსხმელი ანდრეი არშავინი ცოლ-შვილითურთ შემოვიდა!

ინგლისელები შოკში აღმოჩნდნენ: სუპერმოთამაშე საჭმელზე ეკონომიას ეწევა! ზოგადად, ფეხბურთელებს მკაცრი რეჟიმის პირობებში სწრაფი კვების რესტორნებში შესვლა ეკრძალებათ. მაგრამ, როგორც ჩანს, ანდრეი არშავინი, რომელიც კვირაში 80 ათას გირვანქა სტერლინგს იღებს, გამორჩეული ახალგაზრდა კაცია.

– მას თავისუფლად შეეძლო სადილად ცოლ-შვილის ლონდონის ნებისმიერ რესტორანში წაყვანა, მაგრამ ჩვენთან სტუმრობა ამჯობინა, – განაგრძობს „მაკდონალდსის“ მუშაკი. – მისტერ არშავინი ჩვენი მუდმივი კლიენტია და ყოველთვის ერთი და იგივე სქემით მოქმედებს: მიდის შესასვლელში შეღავათიანი ვაუჩერების დამრიგებელ თანამშრომელთან და მისგან მთელი ოჯახის სადილის ვაუჩერს 1.99 გირვანქა სტერლინგად ყიდულობს. თავად ფეხბურთელი ამბობს, რომ ჩვენი საჭმლის გემო და ოჯახური სადილის დაბალი ფასი მოსწონს, თუმცა კი თავად მხოლოდ თევზის ფილეთი კმაყოფილდება ხოლმე.

თამარ გოგიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვაიმე, ენავ!

რუბრიკას უძღვება მურმან თავდიშვილი

შეკითხვა ეროვნული გალერეის ხელმძღვანელობას

ხელმძღვანელნო!

გთხოვთ, მიპასუხოთ ერთ შეკითხვაზე!

ეროვნულ გალერეას „ამშვენებს“ ასეთი წარწერა: „XIX-XX საუკუნის I ნახევარი. ქართული ხელოვნების შედევრები“.

ამჟამად თავი დავანებოთ იმას, რომ „XIX-XX საუკუნის“ კი არ უნდა იყოს, არამედ „XIX-XX საუკუნეებისა“. უფრო მთავარია სხვა კურიოზი. როგორ გავიგოთ XIX-XX საუკუნეების პირველი ნახევარი?

აქ ორი გაგება შეიძლება, არსებობდეს: ა) XIX საუკუნის პირველი ნახევრისა (1800-1850) და XX საუკუნის პირველი ასწლეულის (1900-1950) ქმნილებები, მაგრამ მაშინ გაუგებარია, თუ რად გამოვტოვეთ XIX საუკუნის II ნახევარი? ბ) XIX-XX საუკუნეების პირველი ნახევრის, ანუ XIX საუკუნის ქმნილებანი.

მაშინ რაღა საჭიროა XX საუკუნის მიწერა?

სანამ გალერეის ხელმძღვანელნი საქმეს გაგვირკვევდნენ, მკითხველს უნდა შევთავაზო ჩემი ვარაუდი:

ალბათ, უნდოდათ გამოეხატათ შემდეგი აზრი: XIX საუკუნის (მთლიანად) და XX საუკუნის I ნახევრის შედევრები.

დავათვალიერე გალერეა და მართლაც ასე აღმოჩნდა: აქ გამოფენილია XIX საუკუნის და XX ასწლეულის პირველი ნახევრის ნაშრომები.

მაშ, რა უნდა ეწეროს ჩვენს საამაყო გალერეაზე?

უნდა ეწეროს ასეთი რამ:

XIX საუკუნისა და XX საუკუნის I ნახევრის შედევრები.

გალერეის ხელმძღვანელნო!

აწ თქვენი ახსნა-განმარტება საჭირო აღარ არის; საჭიროა რეკლამა-მიპატიჟების ტექსტის შეცვლა.

◎ ინფორმაცია

რა აღელვებთ მსოფლიო ბავშვებს?

მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ბავშვებს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ყველაზე მეტად განათლების საკითხი აღელვებთ. ასევე პრიორიტეტულია საკვებისა და გარემოს დაცვის პრობლემა. მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, „პატარა ხმები, დიდი ოცნებები“, მონაწილეობა 47 ქვეყნის 62000-ზე მეტმა ბავშვმა მიიღო. მათ უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე, თუ რას მოიმოქმედებდნენ, საკუთარი ქვეყნის პირველი პირი რომ გამხდარიყვნენ. გამოკითხულთა ნახევარმა, უმეტესწილად განვითარებად ქვეყნებში, უმთავრეს პრობლემად კარგი განათლების მიღება დაასახელა. კვლევის მესვეურების განცხადებით, გამოკვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ბავშვობის ასაკმა ერთგვარად დაბლა დაიწია და დღეს 10-12 წლის ბავშვებს მათზე გაცილებით უფროსი ადამიანების შესაფერისი აზროვნება და აღქმა ახასიათებს. — ყოველ შემთხვევაში, ისინი მთელი სისავსით აცნობიერებენ განათლების მიღების მნიშვნელობას, — განაცხადა ბავშვთა საერთაშორისო ფონდის ვიცე-პრეზიდენტმა სტივენ სტირლინგმა.

◎ ბელელს თაგვი შეეჩვია...

უგულავას გაუმჭვირვალე ჯიბე და გამჭვირვალე ბიუჯეტი თუ პირიქით...

2005 წლის 17 მარტს თბილისის მთავრობამ დააფუძნა ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი. მისი საქმიანობა ძველი თბილისის ისტორიული ნაგებობების რეაბილიტაცია-გამაგრება, წყალსადენის სისტემის და სხვათა მოვლა-პატრონობა და ზედამხედველობა უნდა გამხდარიყო.

მომდევნო წელს მთავრობამ ფონდს 150 ათასი ლარი გამოუყო, 2007 წელს კი მერიამ მიიღო გადაწყვეტილება: ძველი თბილისის რეაბილიტაციის პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებიდან რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდს შემოწირულობის სახით 10 მილიონი ლარი გამოეყო, რომლის... ასავალ-დასავალს ვერავინ აგნებს.

მომდევნო წელს მერიამ აღდგენა-რესტავრაციისათვის ფონდს ბიუჯეტიდან 65379 400 ლარი გამოუყო, 2009-ში კი — 106 330 700 ლარი. 2010 წელს ფონდმა მერისგან მიიღო 134 155 000 ლარი. იმავე წლის ბიუჯეტიდან ამოიღეს ის ნაწილები, რომლებიც ძველი ქალაქის განვითარება-რეაბილიტაციისათვის იყო ფონდისათვის გადარიცხული.

ამ დროს ძველი თბილისის ფონდთან ერთად გაჩნდა თბილისის განვითარების ფონდიც. 2011 წელს დედაქალაქის ბიუჯეტიდან ორივემ მიიღო დაფინანსება. გაიზარდა ყველა სახის პროექტების დაფინანსება. თუმცა რა რაოდენობით, არსადაა ნათქვამი.

ფონდში გადარიცხული თანხები საჭიროებისამებრ როგორ, რაზე იხარჯებოდა, გასაიდუმლოებულია. როდესაც ოპოზიციამ, არასამთავრობოებმა ხარჯვითი ანგარიშები მოითხოვეს, 2012 წლის 7 მარტს ქალაქის მთავრობამ ძველი თბილისის რესტავრაციისა და აღდგენის ფონდის სალიკვიდაციო სამუშაოები დამთავრებულად გამოაცხადა. ასე დარჩა საზოგადოება იმ ინფორმაციის გარეშე, თუ სად გაქრა მათ მიერ ბიუჯეტში შეტანილი გადასახადები.

უგულავა და მისი გუნდი კი სრული ძალებით თბილისის განვითარების ფონდზე გადაერთვნენ და ახლა იქ დაიწყეს საბიუჯეტო თანხების ხვრა.

დედაქალაქის განვითარების ფონდის წესდება და ამოცანები თითქმის იდენტურია ძველი თბილისის განვითარების ფონდისა, ისევე, როგორც შემადგენლობა. ფონდის გამგეობის 9-კაციანი შემადგენლობიდან, სამი წევრი მამუკა ახვლედიანი, დავით ავალიანი, დავით ნინიძე უკვე ლიკვიდირებული ძველი თბილისის განვითარების 5-კაციანი გამგეობის წევრებიც იყვნენ. რაც შეეხება დანარჩენ 6 წევრს, მათგან 5 თბილისის სხვადასხვა რაიონის გამგებელია, ხოლო ერთი — თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

ვლინდება უგულავას კიდევ ერთი კორუფციული მანიპულაცია. სახელმწიფო შესყიდვებში შესული საკანონმდებლო ცვლილებების დროს მერიამ თავად გაასხვისა რიყის ტერიტორია. მოგვიანებით კი უკან შეისყიდა. ამ კორუფციული გარიგების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტმა 15 764 500 ლარით იზარალა: ტერიტორია შეისყიდა ძველი თბილისის განვითარების ფონდმა, რომელიც დედაქალაქის მთავრობის მიერ ფინანსდებოდა.

ძალიან დიდი არაკეთილსინდისიერი გარიგებები იკვეთება შპს „ახალ რიყესა“ და მერიას, აგრეთვე სხვადასხვა ჰოლდინგებსა და იურიდიულ პირთა შორის. თუმცა ამაზე ლაპარაკი ძალზედ შორს წაგვიყვანს და უფრო სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა.

ქართველ სამართალდამცველებს კი შევახსენებთ, რომ რაიმე დარღვევების შესახებ სავალდებულო არ არის უშუალოდ ცალკე განცხადებით მიმართვა, ამისთვის საკმარისია პრესასა თუ ტელევიზიაში გახმიანებულ რაიმე კრიმინალური ფაქტი და თუ მათ პროფესიული ჟინი ამოძრავებთ, ფაქტების შესამოწმებლად და მათ გასაცნობად ესეც საკმარისია.

ზაზა ბილიხოძე

◎ ბავშვის ფსიქოლოგია

რას გვიამბობენ კაცუნები?

ბევრი მშობელი ბავშვის ნახატებს საკმაოდ გულგრილად უცქერის — ნაჯღაბნია და ეგაა. არადა ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ ბავშვების ნახატებში მეტად ფასეული ინფორმაციაა დაშიფრული, ამიტომ საჭიროა მათი წაკითხვის სწავლა.

პატარა ბავშვმაც კი იცის, რომ ადამიანები თავით ფიქრობენ, ამიტომაც ის „ყველაზე მთავარი ვინმეა“. ამდენად, თუკი ბავშვმა კაცუნას (თანაც ნებისმიერს, არა მხოლოდ საკუთარ გამოსახულებას) პატარა თავი დაუხატა, მაშასადამე იგი თავს ჭკვიანად არ მიიჩნევს, რაც მის თვითშეფასებას აკნინებს და თავს დაჩაგრულად აგრძნობინებს. ხოლო თუკი პატარამ მთელი სხეული მკაფიოდ გამოსახა, თავი კი პაწაწუნა დაუხატა, მაშასადამე იგი ზედმეტად მორიდებულია. თავი ტანს უნდა აკონტროლებდეს, რისთვისაც კისერია საჭირო. ბავშვისთვის ტანი გრძნობებსა და სურვილებთან ასოცირდება. თუკი ბავშვი სქელ, კარგად გამოხაზულ კისერს ხატავს, მაშასადამე მას ხშირად წარმოეშვება ძლიერი გრძნობები, თუმცა კი იგი მათ დამორჩილებას ცდილობს. თუ კისერი მოკლეა, მაშასადამე გრძნობები მაინც იმარჯვებენ გონებაზე, ხოლო თუკი კისერი წვრილი და არამკაფიოა — მაშინ ყველაფერი პირიქითაა. თუ ბავშვი ფართო მხრებსა და მსხვილ ტანს ხატავს, მაშასადამე იგი თავს ძლიერად თვლის, ვიწრო მხრები კი მის სისუსტეს მიუთითებს. თუ ტანი არაპროპორციულად დიდია, მაშასადამე ბავშვს დაუკმაყოფილებელი სურვილები აქვს. სუსტი ტანი იმას მიანიშნებს, რომ ბავშვს საკუთარი თავისა არ სჯერა, კომპლექსებითაა შეპყრობილი. მკაფიოდ გამოხატული დეტალები (თვალები, ცხვირი, პირი, წარბები, ნიკაპი) იმას მეტყველებს, რომ ბავშვს საკუთარი გარეგნობა ადარდებს. დიდი ნიკაპი იმას მიუთითებს, რომ ბავშვი ბუნებით ლიდერია. დიდ ყურებს უფროსებისგან ხშირ კრიტიკას შეჩვეული ბავშვები ხატავენ, ასე ისინი აჩვენებენ, რომ საყვადურები მათ მძიმე ტვირთად აწევთ. პატარა ყურებს კი ისეთი ბავშვი ხატავს ხოლმე, რომელსაც კრიტიკა არანაირად არ ანაღვლებს, იგი მასზე არ რეაგირებს. თუკი კაცუნას წვრილი თვალები აქვს — ეს იმას ნიშნავს, რომ პატარა გულჩათხრობილია. დიდი, ფართოდ გახელილი თვალები იმას ნიშნავს, რომ ბავშვს რაღაც აშინებს, დაცვას საჭიროებს. თუკი თვალები მჭიდროდაა დაშტრიხული (ან გაშავებული), ბავშვს, შესაძლოა, შიშები აწუხებს. თუკი ბავშვის ნახატზე პირი არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ურთიერთობას გაურბის, გულჩათხრობილია, დიდი კბილები კი აგრესიის ნიშანია.





თუ ბავშვი მძლავრ ხელ-ფეხს ხატავს, მაშასადამე მას მალე გაზრდა და ღონიერება სურს, ამჟამად კი ძალები არ ყოფნის. კაცუნას გრძელი ხელ-ფეხი იმას მეტყველებს, რომ იგი ამთავითვე ბევრის მიღწევას ოცნებობს, მოკლე ხელები კი დიდი გეგმების არყოფნის ნიშანია. ამასთან, თუკი კაცუნას ხელები არ აქვს, ანდა სხეულზე მჭიდროდაა მიკრული, ეს ბავშვის გულჩახვეულობის ნიშანია (მოყოლებული ხუთი წლის ასაკიდან). განზე გაშლილი ხელები ბავშვის კომუნიკალურობის ნიშანია (რვა წლიდან მოყოლებული), დიდი ხელისგული, მუშტი და წაწვეტებული ფრჩხილები კი აგრესიულობის ნიშანია.

ნინო ალექსანდრია

◎ ოჰოჰოჰო!

შეიძლება თუ არა, რომ 97 წლის კაცი მამა გახდეს

— ინდოეთში მამაკაცი მამა გამხდარა 97 წლისა, „ახალგაზრდა“ დედა კი 50-ისაა. ეგ შეიძლება განა?

— საეჭვოა. თეორიულად, განსხვავებით ქალისგან, მამაკაცი ნებისმიერ ასაკში შეიძლება გახდეს მამა, თუმცა წლების მატებასთან ერთად, ნორმალური მომწიფებული სპერმატოზოიდების გამომუშავების უნარი ქვეითდება... იმ წყვილს, რომელზეც ლაპარაკია, ჯანსაღი ბავშვის გაჩენის ალბათობა აქვს ერთი მემილიონედი. მამაკაცი თუ 40-ზე მეტი წლისაა, ქალი კი 35-38-ზე მეტისა, პათოლოგიური პაწიას მოვლინების რისკი რამდენჯერმე იზრდება.

გარდა ამისა, გასარკვევია, არის თუ არა სწორედ

ეს მამაკაცი ბავშვის მამა. ყველაზე სავარაუდოა, რომ 97 წლის მამის ამბავი პიარ-სვლაა იმ კომერციული კლინიკისა, რომელიც რეპროდუქციის პრობლემებითაა დაკავებული.

* * *

— აფთიაქებში იყიდება ძვირი სპრეები ზღვის წყლით — ცხვირის გამოსარეცხად. ეს რა, რაღაც განსაკუთრებული ხსნარია? თუ იმავე წარმატებით შეიძლება ჩვეულებრივ წყალში ზღვის მარილის გაზავება? (სპრეა დამუხტული სითხის ნაკადის შემცველს ეწოდება — რედ).

— რასაკვირველია, სპრეებში ჩვეულებრივი ზღვის წყალი თავსდება. ცხვირის გამოსარეცხი ხსნარის მომზადება თვითონაც შეგიძლიათ: აიღეთ ნახევარი ლიტრი ადუღებული წყალი, ცელსიუსით 40 გრადუსამდე დააყენეთ, დაუმატეთ მსხვილად ნაფქვავი სუფრის მარილი, ჩაის კოვზი ნახევარზე ცოტა მეტი (ანუ 5 გრამამდე) და კარგად შეანჯღრიეთ (ზღვის წყალი შეიძლება უცნობი წარმოშობისა და გაუწმენდავი იყოს). გამოსარეცხად ისარგებლეთ მხოლოდ ახლადმომზადებული თბილი ხსნარით.

* * *

— საინტერესოა, რატომ მამაკაცებისთვის არსებობს ისეთი წამალი, როგორიც ვიაგრაა, ქალებისთვის კი არა? იმათ რა, ეს არ უნდათ?

— მამაკაცებსა და ქალებს სექსუალური გამოვლენები სხვანაირად აქვთ. მამაკაცებისთვის ეს არის ლიბიდო, სქესობრივი ლტოლვა, ერექცია, თესლამონთხევა და ორგაზმი. ქალებისთვის — ლიბიდო, ორგაზმი და სხვა გამოვლენანი, რომელთა შორის, ბუნებრივია, ერექცია არ გვხვდება. ვიაგრასნაირი საშულებები კი მხოლოდ ერექციაზე მოქმედებს. ქალთათვის არსებობს სპეციალური პრეპარატები, ინტიმური ცხოვრების ყოველ მდგენელზე ცალკე მოქმედი. უნივერსალური საშულება „ვიაგრა ქალებისთვის“ — მხოლოდ სარეკლამო ტრიუკია და სხვა არაფერი.

ქალი — ფაქიზი ნატურაა. იმისთვის უფრო ფსიქოლოგიური მომენტია მნიშვნელოვანი და არა ფიზიკური — პარტნიორის მუდმივობა, სიყვარული. ამასთან, ბოლო დრომდე თითქმის არავინ არ ინტერესდებოდა, იღებს თუ არა ქალი სიამოვნებას სექსისაგან, ბავშვის გაჩენის ფუნქციაზე ხომ ეს თავს არ იჩენს.

უცხოური პრესის მიხედვით მოამზადა
ლუკა გორგაძემ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დღესასწაული

კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელის და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა

21 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მთავარანგელოზთა – მიქაელის, გაბრიელის, რაფაელის, ურიელის, სელაფიელის, უგუდიელის, ვარახიელის, იერომიელის კრების ხსენებას.

...ყოველი წლის 21 ნოემბერს განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავენ მთავარანგელოზთა დღესასწაულს ქუთაისის, მწვანეყვავილას, მენჯის, ჯუმათის ალგეთის, დიმის, ერკეთის, შუამთის, გრემის მთავარანგელოზის და თბილისის წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრებში.

მთავარანგელოზებს სხვადასხვაგვარად გამოხატავენ ხატმწერნი; მთავარანგელოზი მიქაელი ხატებზე ჯავშნით არის გამოსახული, მარჯვენა ხელში შუბი უჭირავს, მარცხენაში ზეთისხილის რტო. მთავარანგელოზი რაფაელი ტობიასთან, თევზ ან/და წამლის ჭურჭლითაა გამოსახული.

ურიელ მთავარანგელოზს მკერდამდე აწეულ მარჯვენაში ამოღებული ხმალი უჭირავს, მარცხენაში – ცეცხლის ალი.

მთავარანგელოზი სელაფიელი ხატზე მლოცველის პოზაშია გამოსახული.

უგიდიელი მთავარანგელოზი მარჯვენაში ოქროს გვირგვინითაა გამოსახული, მარცხენაში კი – შოლტით.

ვარახიელ მთავარანგელოზს ხატებზე გამოსახავენ ვარდისფერი ყვავილებით შემკული სამოსით.

მთავარანგელოზი იერომიელი გამოსახულია სასწორით ხელში; ის საღვთო სიყვარულის აღმძვრელია.

გიული ლიპარტია

დაიჯესტი

ოცნების ახდენა

ტროას ფანტასტიკური აღმოჩენის ამბავი შორეული 1829 წლის აღდგომის ღამეს იშვა, როცა გერმანიის ქალაქ ანკერჰაგენში შვიდი წლის ჰენრიჰ შლიმანმა მშობლებისგან საჩუქრად ლამაზსურათებიანი წიგნი მიიღო.

გეორგ ლუდვიგ ერერის „მსოფლიო ისტორია ბავშვებისთვის“ ილუსტრირებულმა გამოცემამ ამ ბიჭუნას მომავალ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა. ჰენრიჰის მამას, პროტესტანტ ღვთისმსახურს, ვაჟიშვილისთვის მანამდეც მოუყოლია ტროას ომის, გმირებისა და დიდი ხნის წინათ დანგრეული და მიწასთან გასწორებული ციხე-სიმაგრეების შესახებ. მაგრამ სწორედ იმ საღამოს, როცა ჰენრიჰმა ის წიგნი მიიღო საჩუქრად, მან გულში ძველი ტროას მიგნება გადაწყვიტა.

ყოველ შემთხვევაში ასე იხსენებდა ამ ამბავს შემდგომ უკვე სახელოვანი არქეოლოგი ჰენრიჰ შლიმანი.

არავითარი საჩუქარი!

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამედიცინო კლინიკების პერსონალს პაციენტებისგან არანაირი საჩუქრის მიღების უფლება არ აქვს.

ერთმა სამედიცინო დამ ინტერნეტის ფორუმში დაიტრაბახა, რომ მადლიერმა პაციენტმა მას ძვირიანი საათი აჩუქა. ეს ამბავი კლინიკის ხელმძღვანელობამ შეიტყო და საბრალო მედდას ამ საათის კლინიკის ადმინისტრაციაში ჩაბარება მოუხდა. საათი გაყიდეს, მიღებული თანხით სამედიცინო მოწყობილობები შეიძინეს.

დიაგნოზს... ალგორითმი დასვამს

ბრიტანელმა მათემატიკოსმა მაქს ლითლმა პარკინსონის დაავადების... ხმის ტემბრის მიხედვით დიაგნოსტირების იდეა წამოაყენა.

მათემატიკური ალგორითმების გამოყენებას იგი ხმის ტემბრის ცვლილებათა დასადგენად აპირებს, რომლებიც პარკინსონის დაავადებისთვისაა დამახასიათებელი. საამისოდ დოქტორი ლითლი მონაცემთა ბაზის შექმნას აპირებს, რომელშიც ათი ათასი კაცის ხმის სამწუთიანი ჩანაწერი იქნება განთავსებული.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

– წარმოგიდგენია, მივდივარ სახლში, ვაღებ კარადას და შიგ შიშველი კაცი დგას! – ეუბნება ტიპი ნაცნობს.

– რა არის აქ გასაკვირი, ყველა ცოლი ერთნაირი ჩათლახია...

– რა შუაშია აქ ცოლი? მე ხომ მარტოხელა ვარ!!!

* * *

– ძვირფასო, შენ იცი დამალობანას თამაში? – ეკითხება ქმარი ცოლს.

– რა თქმა უნდა, საყვარელო!

– მაშინ წადი და ისე დაიმალე, რომ ვერასოდეს გიპოვო.

ყველაზე ადრე ღმერთმა შექმნა დედამიწა! შემდეგ მან დაისვენა და შექმნა მამაკაცი! მერე ისევ დაისვენა და შექმნა ქალი! მას შემდეგ არც ღმერთს და არც კაცს წუთითაც არა აქვთ მოსვენება!

* * *

– გაიცანი! ეს ჩემი ცხოვრების თანამგზავრია!

– როგორ?

– დროებით ასრულებს ცოლის მოვალეობას.

* * *

– ცხოვრება დაბადებიდან იწყება.

– არა, ცხოვრება ჩასახვიდან იწყება.

– არა, ცხოვრება იწყება მაშინ, როცა ცოლი ბავშვებიანად აგარაკზე მიდის.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ყურადღებიანი ვახელებთან

რა სარჩელი შევიდა პროკურატურაში ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ?

დროები რომ მეფობენ, ეს ფაქტია, რაზედაც ეს ინფორმაციაც მეტყველებს – აჭარის პროკურატურაში ივანე მერაბიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შევიდა.

ბიზნესმენმა სერგო ბერიძემ აჭარის პროკურატურაში ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილისა და მისი გარემოცვის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. ყოფილი პატიმარი პროკურატურისგან მისი საქმის გამოძიებასა და ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას მოითხოვს.

შეგახსენებთ, რომ „ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსის“ მფლობელი სერგო ბერიძე 2007 წელს თანხის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს. მან პატიმრობის სრული ვადა მოიხადა და საპატიმროში ოთხი წელიწად-ნახევარი გაატარა. დღეს ის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს.

„ალია“

„თავისუფალი საქართველო“ განათლების მინისტრს უპირისპირდება

განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი შარში გაეხვია. მისი განცხადებით, იგეგმება სწავლის გადასახადის გაძვირება, რათა მოხდეს განათლების ხარისხისა და მიღებული ცოდნის რენტაბელურობის გაზრდა.

ამ განცხადებამ ერი აღაშფოთა. ნაციონალები მოსახლეობას უკვე ნიშნისმოგებით ესაუბრებიან. საგანგებო განცხადება დააკეთა პარტიამ „თავისუფალი საქართველო“. პარტიის პოლიტიკური და გენერალური მდივნები მარგველაშვილს მიმართავენ.

– ბატონი მარგველაშვილის მიდგომები უფრო წააგავს ეკონომიკის მინისტრის მიდგომებს, რადგან განათლების სისტემისგან განსხვავებით, ეკონომიკაში უმთავრესი სწორედ ფინანსური სარგებლის ნახვაა, ხოლო განათლებიდან მიღებული დივიდენდი განათლებული, პროფესიონალი თაობის აღზრდა უნდა იყოს და არა სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტებისთვის შემოსავლის გაზრდა.

„ახალი თაობა“

ხორცის გაიაფების შესაძლებლობა გამოჩნდა

თბილისის მასშტაბით, შესაძლოა, საქონლის ხორცი გაიაფდეს. ყასბებს ნატახტრის სასაკლაოზე საქონლის დაკვლის საფასური შეუმცირდათ, რაც მომავალში ფასებზე აისახება. ამ ეტაპზე 1 კგ. ხორცში მათ 0,50 ლარის გადახდა უწევთ, ცოტა ადრე ეს საფასური 1,50 ლარს შეადგენდა.

მიუხედავად ასეთი შეღავათისა, ცვლილება ფასებს თითქმის არ დატყობია.

„რეზონანსი“

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com